განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 01.11.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი 03.12.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	განათლების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჯგუფი - ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული,

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ გიორგაძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ბანძელაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე კვირიკაშვილი, ძველი თბილისის რესურსცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა თეთრაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო უგრეხელიძე, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის პირობით აკრედიტებული. პროგრამის პირობითი აკრედიტაციის რეჟიმში განხორციელების ვადებში პროგრამის განვითარებაზე იმუშავა დაწესებულების ადმინისტრაციამ, სტუდენტებმა, დამსაქმებლებმა, პარტნიორმა ორგანიზაციებმა. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია ექსპერტის შეფასებისა და ბაზრის მიმოხილვის შედეგები.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, რომლის მიხედვითაც პროგრამა ამზადებს დაწყებითი საფეხურის I-IV კლასებში საგნობრივი ჯგუფის (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) და V-VI ერთ-ერთი საგნის (ქართული, მათემატიკა) საფეხურის მათემატიკის მასწავლებელს. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამის კურსდამთვრებული შეიძლება დასაქმდეს ასევე არაფორმალურ განათლებაში.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 300 კრედიტს, რომლის ათვისებაც ხდება 5 აკადემიური წლის - 10 სემესტრის განმავლობაში.

პროგრამა მოიცავს პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტებს. პროფესიულ პრაქტიკა ხორციელდება პარტნიორ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. აღნიშნული ორგანიზაციებთან დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

პროგრამის შემუშავებასა და მის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის, სკოლის მართვასა და ადმინისტრირებაში გამოცდილი პერსონალი, შესაბამისი მიმართულების საგნობრივი ექსპერტები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობებში ჩართული ტრენერები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  - ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 2 21 0001137750 - 25. 10. 2021) თანახმად, 2021 წლის 1 ნოემბერს სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში დისტანციურად (ზუმის პლატფორმის გამოყენებით) განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ამავე სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

  - ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე, შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებსა და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

  - სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სასწავლო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს. ასევე გაიმართა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დისტანციურად დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის სტუდენტებსა და მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებს.

  - შეხვედრის განმავლობაში დაზუსტდა ინფორმაცია პროგრამის, მისი ცალკეული კომპონენტებისა და სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ.

  - ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოტანილი დასკვნები, რეკომენდაციები და რჩევები ეყრდნობა სწორედ ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა წარმოდგენილი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა გარკვეული ასპექტები, რომლებიც დაწესებულების მხრიდან საჭიროებს გაუმჯობესებას. ექსპერტთა მიგნებები კანონმდებლობის შესაბამისად კლასიფიცირდა რჩევებად და რეკომენდაციებად. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად: პირველი სტანდარტის მიხედვით პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნულ სტანდარტში ექსპერტთა რეკომენდაციები, ძირითად შემთხვევაში, უკავშირდება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ფორმულირების საკითხებს. მეორე სტანდარტის მიხედვით პროგრამა ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. აღნიშნულ სტანდარტში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ძირითადი აქცენტები გაკეთდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმებზე, სასწავლო კურსების შინაარსზე, წინაპირობებსა და შეფასების მეთოდებზე / ფორმებზე. მესამე სტანდარტის მიხედვით პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. აღნიშნული შეფასების შედეგი ეფუძნება სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის მოთხოვნებს, კერძოდ, აკადემიური სტილის დაცვის საკითხებს. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელის როლს პროგრამის განვითარების პროცესში და მოწვეული პერსონალის დატვირთვის მართვის მექნიზმების შემუშავებას. მეოთხე სტანდარტი სრულად შესაბმისობაშია მოთხოვნებთან. მეხუთე სტანდარტის მიხედვით პროგრამა ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. აღნიშნული სტანდარტში ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა უნივერსიტეტის შიდა და გარე ხარისხის შეფასების მექნიზმებზე.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნები. მეტი სიზუსტისთვის შეიცვალოს მიზანში წარმოდგენილი ზოგიერთი დებულების ფორმულირება;
2. გადაიხედოს სწავლის შედეგები გარკვეული დებულებების გადაფარვისა და ფორმულირებების დაზუსტების /შესწორების მიზნით;
3. გადაიხედოს წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და სამიზნე ნიშნულები პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
4. რეკომენდებულია, გაიდახედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა. დაზუსტდეს კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობა სამი დონის მიხედვით. დოკუმენტის დაზუსტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კურსის შედეგები, შინაარსი, სემესტრული განფენილობა;
5. რეკომენდებულია, გადაიხედოს ცალკეული სასწვლო კურსების შედეგები. გარკვეულ შემთხვევებში, სწავლის შედეგების ფორმულირების დროს, ცოდნა-გაცნობიერების კომპეტენციის აღსაწერად გამოყენებულია უფრო პრაქტიკული უნარების აღმწერი შედეგები. ასევე, გარკვეულ შემთხვევებში წარმოდგენილი შედეგი არის ძალიან ვიწრო და არ შეესაბამება დარგობრივ მახასიათებლის კომპეტენციების აღმწერს. ზოგადად, რეკომენდებულია კურსის სწავლის შედეგების ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისი აქტიური ზმნებით დალაგება;

6. რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კომპონენტებისა და რუბრიკების გადახედვა. შეფასების კომპონენტები უნდა იყოს დიფერენცირებული და ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის სპეციფიკას. რუბრიკები უნდა ცხადყოფდეს თუ როგორ გადის კონკრეტული შეფასება სასწავლო კურსის კონკრეტულ შედეგებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა პრაქტიკული უნარების შეფასების კომპონენტები. აღნიშნული სილაბუსები ზოგადია და არ გამოხატავს საგნის სპეციფიკას და მისაღწევ შედეგებს.
7. რეკომენდებულია გადაიხედოს და გამარტივდეს სწავლის შედეგების მიღწევის სქემა.
8. რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო-კვლევითი ნაშრომისთვის მოსამზადებელი კურსების შინაარსი, აქტივობები და შეფასების სისტემა. სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა აღნიშნული კურსების ფარგლებში ჩაატარონ კვლევები შესაბამისი კვლევის დიზაინის ყველა ეტაპის გათვალისწინებით და ეს აისახოს შესაბამისი კურსების შეფასების სისტემაზე.
9. რეკომენდებულია, შეფასების სისტემაში სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა. მხოლოდ ქულების განსაზღვრით სტუდენტი ვერ იღებს ამომწურავ ინფორმაციას გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით;
10. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნებში გაიწეროს ინფორმაცია ნაშრომის გაფორმების აკადემიური სტილის შესახებ;
11. გაიმიჯნოს ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის ფუქციები და დაზუსტდეს კონკრეტულად თანახელმძღვანელის ვალდებულებები. გაძლიერდეს პროგრამის დანერგვაში ხელმძღვანელის ჩართულობა.
12. ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესასრულებლად, როგორც პრევენციული მექანიზმი, ისევე, როგორც აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, შემუშავდეს მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც ხელშეკრულეკრულების განუყოფელი ნაწილი იქნება;
13. უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის აღმწერი დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი უნივერსიტეტის პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპები, მიზნები, შესაბამისი მექანიზმები, მათი დანერგვისა და პრაქტიკაში გამოყენების გზები.
14. უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებსა და სამუშაო პროცესებში, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამებთან ერთად შემუშავდეს ინტეგრირებული საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის რეგულირების წესები და მოთხოვნები, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის;
15. მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა პროგრამის გარე შეფასება განახორციელოს ისეთი ექსპერტის მოსაზრებებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით, რომელიც იქნება დამოუკიდებელი უნივერსიტეტში მიმდინარე სამუშაო პროცესებისაგან და არ იქნება დაკავშირებული მასთან შრომითი ურთიერთობით;
16. **მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა:**
    a. განხორციელებული გამოკითხვებისა და შეფასებების ანალიზის შედეგები გაითვალისწინოს და გამოიყენოს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის;

b. პროგრამის შეფასებაში ჩართოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები;
c. განახორციელოს შრომის ბაზრის უფრო სიღრმისეული და კვალიფიციური კვლევა, ხოლო შესაბამისი მიგნებები გამოიყენოს პროგრამის მუდმივი გაუმჯობესებისათვის;

17. განავითაროს შეფასებისა და მონიტორინგის ისეთი სისტემა, სადაც ჩართულები იქნებიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი კურიკულუმის შეფასებასა და ანალიზში, შრომის ბაზრისა და სხვა კვლევების შედეგების გათვალისწინებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გაიწეროს იმგვარად, რომ მისი ფორმულირება მოიცავდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხვის ყველა გზას;

2. სასურველია, გადაიხედოს კონკრეტული სასწავლო კურსების წინაპირობები. აღნიშნული ცვლილება მეტ ლოგიკურობას შესძენს პროგრამის განფენილობას, ასევე უზრუნველყოფს ცოდნის გაღრმავებას კონკრეტული კომპეტენციების მიმართულებით.
3. სასურველია, აკადემიურ პერსონალს ნათლად ესმოდეს კრედიტ ქულების მინიჭების ლოგიკა და შეძლოს აღშნინული ლოგიკის დასაბუთება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქმნება შთაბეჭდილება, რომ კრედიტწბი მექანიკურადაა გადანაწილებული, სასწავლო კურსების მოცულობის, შინაარსის, სირთულის გათვალისწინების გარეშე.
4. თანამშრომლობით პრაქტიკის დასანერგად, სასურველია, რეგულარული ინტერვალით გაიმართოს შეხვედრები პროგრამის აკადემიური პერსონილის ჩართულობით, როდესაც მოხდება პროგრამის შინაარსი განხილვა, ასევე, სწავლა-სწავლების პროცესის გამოცდილების გაზიარება;

5. სასურველია, სტუდენტებისადმი შეთავაზებული ლიტერატურის მუდმივი განახლება. ასევე, საჭიროა უცხო ენოვანი ლიტერატურის ირგვლივ რიდერების მომზადება;

6. სასურველია, სტუდენტებისთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდება მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით. უნდა დამკვიდდრეს შედეგების გარჩევის, დისკუსიის პრაქტიკა.

7. სასურველია, დალაგდეს სამაგისტრო თემის საკითხის შერჩევის პრაქტიკა. სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია მათ თავად შეძლონ თემის იდენტიფიცირება, სწავლის პროცესში გამოკვეთილი მათთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ;

8. მნიშვნელოვანია გამოყენებული იყოს ICT ტექნოლოგიებით სწავლების მეთოდი. აღნიშნული უნდა აისახოს სილაბუსებში, ასევე მოხდეს პრაქტიკულად დანერგვა;
9. გადაიხედოს და დაიხვეწოს სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები, გამოკითხვა მოერგოს სტუდენტთა საჭიროებებს. შედეგების გამოყენება მოხდეს პროგრამის გასაუმჯობესებლად;
10. შემუშავდეს პროფესორ-მასწავლებელთა პროგრამაში მონაწილეობის მდგრადობისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტიანი მექანიზმი;
11. მაგისტრატურის დებულებაში გაიწეროს პლაგიატის შემოწმების მექანიზმი;
12. სასურველია სასწავლო უნივერსიტეტმა მოწვეულ მასწავლებლებთან ერთად მოიზიდოს დამატებითი აკადემიური პერსონალი, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნით, გამოცდილებითა და კომპეტენციით;
13. სასწავლო უნივერსიტეტმა კიდევ უფრო მეტად უნდა შეუწყოს ხელი აკადემიურ პერსონალს შესაბამისი სტატიები/მონოგრაფიები/წიგნები რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებას;
14. ბიბლიოთეკის გაციფრულების მიზნისათვის გაიწეროს დეტალური გეგმა ბიუჯეტირებით და გათვალისწინებული და შემუშავდეს წიგნადი ფონდის გაციფრულებისა და ელვერსიების გავრცელებისათვის საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმი;
15. პროგრამის მდგრადობის გასაანალიზებლად, სასურველია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენა;
16. სასურველია, რომ დაწესებულებამ თვითშეფასების განაცხადში მოყვანილი ყველა ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი, სათანადო წესით გაფორმებული წერილობითი მტკიცებულება თან დაურთოს განაცხადს, შესაბამისი ქვესტანდარტების ნუმერაციასთან ლოგიკური შესაბამისობითა და თანმიმდევრობით;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- სასწავლო უნივერსიტეტს აქვს საცხოვრებელი კორპუსი და ასევე, უნივერსიტეტში არის სივრცე, რომელიც აღჭურვილია ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის გასართობი ინვენტარით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად კვალიფიკაციის სირთულის მე-7 დონეს. პროგრამის შედეგად მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - „განათლების მაგისტრი“. კვალიფიკაციის კოდია 0114. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, რომლის თანახმად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ისწრაფვის შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნას სტუდენტის, პერსონალის, სხვა დაინტერესებული პირის კმაყოფილებაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო და დასაქმების გარემო, დასაქმებაზე, სწავლისა და კვლევის ინტეგრირებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები, კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი პროექტები, მოკლევადიანი მომზადება/ გადამზადების კურსები. დაწესებულების მისიაა, ასევე, დემოკრატიული და ჰუმანიზმის იდეალებზე, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრის, საზოგადოების აქტიური წევრის, მომზადება /გადამზადება/ მოზიდვა. დაწესებულების მისიასთან კავშირების მოტივით არის ნაკარნახევი მიზანში გაწერილი შემდეგი დებულებები - პროგრამის მიზანია მოამზადოს საქართველოს განათლების მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტების, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის, პროფესიული სტანდარტის, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი, რომელიც

განახორციელებს კონსტრუქტივიზმზე დაფუძნებულ და მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. იქნება მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების მატარებელი, ორიენტირებული უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.

პროგრამის მიზნებში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს „პროგრამის მიზანია მოამზადოს საქართველოს განათლების მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტების, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის, პროფესიული სტანდარტის, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი..“ პროგრამის თვითშეფასების დანართებს შორის არ მოიძებნა შესაბამისი მტკიცებულება ანალიზის სახით, რომელიც დაადასტურებდა პროგრამის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელებს ასევე გაუჭირდათ დასაბუთება, თუ კონკრეტულად რომელ საერთაშორისო სტანდარტებთან მოხდა პროგრამის დადარება.

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა ამზადებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის I-IV კლასებში საგნობრივი ჯგუფისა (ქართული, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება) და V-VI კლასებში ერთ-ერთი საგნის (ქართული, მათემატიკა) მასწავლებელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი განათლების შესახებ კანონი (მუხლი 212, პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი) საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს განმარტავს შემდეგნაირად „საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი – მასწავლებელი, რომელიც ერთ საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ ყველა საგანს ასწავლის საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში“. აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, პროგრამის მიზნებში მითითებულია საგნები - ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება არ წარმაოდგენს ერთ საგნობრივ ჯგუფს. გარდა ამისა, ამავე კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით დაწყებით საფეხურზე არ არის დაგეგმილი რომელიმე საგნობრივი ჯგუფის სწავლება.

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს ასევე იმუშაოს არაფორმალურ განათლებაში. პროგრამით გათვალისწინებულ დასაქმების სფეროებში არ არის აღნიშნული არაფორმალური განათლების კონკრეტულად რა ტიპის დაწესებულებები / სფეროები მოიაზრება ამ მიზნის მიღწევის სარეალიზაციოდ. პროგრამის შინაარსის, შესაბამისი სილაბუსების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პროგრამა ორიენტირებულია სადამრიგებლო / სააღმზრდელო საქმიანობისათვის საჭირო თეორიული ცოდნის შეძენაზე, რაც მოიცავს კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას. აღნიშნული გულისხმობს სკოლის ფარგლებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობას. არაფორმალური განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს, პროგრამა ამზადებს სტუდენტს არაფორმალურ განათლებაში წარმატებული საქმინობისთვის, რაც ინსტიტუციურად ნიშნავს, სკოლის მიღმა სხვადასხვა ტიპის არაფორმალური განათლების დაწესებულებში, დღის ცენტრებსა თუ საკლუბო საქმიანობაში ჩართულობას, თუ სკოლაში არაფორმალური განათლების

ხელშეწყობისთვის.

პროგრამას მტკიცებულების სახით თან ახლავს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ჩატარებული შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა, რომლის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულების სამუშაოზე აყვანის პრაქტიკის/გამოცდილების/სიხშირის დადგენა, პროფესიული კომპეტენციების განსაზღვრა და დამსაქმებელთა დამოკიდებულებების შესწავლა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სწავლების ხარისხისადმი. გარდა ამისა, პროგრამას თან ახლავს დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები, რომლის მიზანია პროგრამის შემუშავების საჭიროების დადგენა. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს აღნიშნული კვლევის შედეგებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები არ შეიცავს ინფორმაციას ძირითადი მიგნებებისა და რეკომენდაციების შესახებ. აღნიშნული გარემოება ართულებს კვლევის შედეგების კავშირების დადგენას პროგრამის შინაარსთან.

პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებში პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობისაკენ.

პროგრამის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. პროგრამისთვის განკუთვნილია სპეციალური სექცია ვებ-გვერდზე, სადაც განთავსებულია პროგრამით დაინტერესებული მხარეებისათვის საჭირო ყველა ინფორმაცია.

ინტერვიუებმა და წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა (სამუშაო ჯგუფების დამტკიცების შესახებ ბრძანება, შეხვედრების ოქმები) დაადასტურეს, რომ პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია დაწესებულების ადმინისტრაციის, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და პოტენციური დამსაქმებლების/პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელების ჩართულობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამსაქმებლები პროგრამაში ფართოდ არიან წარმოდგენილები მოწვეული პედაგოგების სტატუსით და ჩართულები არიან სასწავლო პროცესში. თითოეული ჩართული მხარე აღწერდა პროგრამაზე მუშაობის პროცესს და ავლენდა ცოდნას პროგრამის შესახებ, რაც მიანიშნებს, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ და შემუშავებულია მათი ჩართულობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- დაწესებულების მისია;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- თვითშეფასება;

- ინტერვიუს შედეგები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნები. მეტი სიზუსტისთვის შეიცვალოს მიზანში წარმოდგენილი ზოგიერთი დებულების ფორმულირება;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და ავტონომიურობის შესაძლებლობებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, შრომისა და განათლების ბაზრის კვლევისა და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებს. ითვალისწინებს პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეფასებებს. პროგრამის შესწავლის შედეგად დგინდება ნაწილობრივი კავშირები კვლევის შედეგებსა და პროგრამის შინაარსს შორის. დეტალური აღწერა შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევის შესახებ იხილეთ 5.2 სტანდარტში.

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავების საჭიროების დადგენის შემდეგ ფაკულტეტი ირჩევს პროგრამის ხელმძღვანელს, თანახელმძღვანელს და იწყება პროგრამაზე მუშაობის პროცესი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი ძირითადად აღწერს იმ ძირითად მოთხოვნებს, რასაც უნდა აღწერდეს პროგრამა. ამავე დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე და სწავლის შედგების შეფასების პრინციპებზე. აღნიშნული დოკუმენტი არ აღწერს ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის შემუშავების ეტაპებს და ჩართული მხარეების პასუხისმგებლობებს. შესაბამისად, ექსპერტთა მიგნებები პროგრამაზე მუშაობის პროცესის აღწერასთან დაკავშირებით ძირითადად ეყრდნობა ინტერვიუსა და სამუშაო შეხვედრების ოქმების შესწავლის შედეგებს. პროგრამის შემუშავებაში ჩართულები არიან როგორც ადმინისტრაციული ერთეულები, ასევე სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფები. ინტერვიუების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას სისტემატიურად ეწყობოდა შეხვედრები და თითოეული ეტაპის შედეგების გაზიარება ხდებოდა ელექტრონულად. ზემოთ აღნიშნული მიგნებებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მხარეების ჩართულობით და პროგრამის სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო სწავლის შედეგების გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის სადემონსტრაციოდ დაწესებულება იყენებს პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის მიზნების შესაბამისობის რუკას. დეტალური აღწერა კომპეტენციათა რუკის შესახებ იხილეთ 2.2 სტანდარტში

პროგრამის სწავლის შეედგები სრულად ფარავს მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს. ამასთანავე აღსანაშნავია გარკვეული დებულებები, რომლებიც, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებით საჭიროებს კორექტურას:

სწავლის შედეგი 2: "გეგმავს, წარმართავს და აფასებს მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებულ გრძელვადიან და მოკლევადიან სასწავლო პროცესს" - აღნიშნულ

დებულებაში უნდა მოიაზრებოდეს გრძელვადიან და მოკლევადიან სასწავლო გეგმებზე დაყრდნობით მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება.

სწავლის შედეგი 2: იმავე სწავლის შედეგების მეორე ნაწილში ვკითხულობთ "... რაც ჩამოუყალიბებს მოსწავლეს პასუხისმგებლობისა და მზრუნველი დამოკიდებულების უნარს საკუთარი თავის, ოჯახის, თემის, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასება არ არის გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში და ცდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის არეალს;

სწავლის შედეგი 4: პიროვნების განვითარებისა და განათლების თეორიების ცოდნის ეფექტიანად გამოყენების მიზნით…. ქმნის უსაფრთხო, თავისუფალ და მამოტივირებელ სასწავლო გარემოს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით თეორიული ცოდნის გამოყენება ვერ იქნება მთავარი მიზანი, არამედ პირიქით, თეორიული ცოდნის საფუძველზე და მასზე დაყრდნობით გამომუშავდება ის პრაქტიკული უნარები, რომელზეც საუბარია აღნიშნულ დებულებაში და რომელიც უნდა იყოს მთავარი სამიზნე ამოსავალი. შესაბამისად, უსაფრთხო, თავისუფალი და მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით საჭიროა შესაბამისი თეორიების ეფექტიანად გამოყენება.

სწავლის შედეგი 6,7,8: ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა გადამფარავი დებულები მე-6, მე-7 და მე-8 სწავლის შედეგებს შორის. სამივე წარმოდგენილ კომპეტენციას შინაარსობრივად და არსობრივად ფარავს პრაქტიკის კვლევის შინაარსი და სპეციფიკა. შესაბამისად, საჭიროა მათი ერთ სწავლის შედეგად წარმოდგენა. აქვე აღსანიშნავია, რომ სამივე სწავლის შედეგს აჯამებს სამაგისტრო ნაშრომი და უკავშირდება ერთ სამიზნე ნიშნულს.

პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც აღწერს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობას, შეფასების მეთოდებსა და შედეგების გამოყენების შესაძლებლობებს. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ზოგად საუნივერსიტეტო დოკუმენტს, რომელიც ვრცელდება დაწესებულებაში მოქმედ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს.

პირდაპირი მეთოდით შეფასების პროცესში მონაწილეობს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო ყველა კომპონენტი და კომპონენტზე დარეგისტრირებული ყველა სტუდენტი. მოწმდება თითოეულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტთა მიღწევები.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების **არაპირდაპირ მეთოდად** გამოიყენება სტუდენტთა თვითშეფასება (მათ ეძლევათ სპეციალური ანკეტა-კითხვარი, რომლის საშუალებითაც აფასებენ პროგრამის ფარგლებში საკუთარ მიღწევებს) და დამსაქმებლების მიერ სტუდენტთა შეფასება.

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი ფასდება პროგრამის განხორციელების ერთი სრული ციკლის დასრულების შემდეგ და ყოველ მომდევნო წელს. სწავლის შედეგების შუალედური შეფასებისთვის გამოიყენება სტუდენტთა მიერ მიღწეული შედეგები იმ

კომპონენტების ფარგლებში, რომელშიც ფასდება/ჯამდება შესაბამისი სწავლის შედეგი. სტუდენტთა შეფასების ერთიანი შედეგები გროვდება და ხორციელდება სტატისტიკური ანალიზი სხვა და სხვა სასწავლო წელს მიღებული შედეგების შედარებითი ანალიზის მიზნით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ადგენს სამიზნე ნიშნულებს, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება სწავლის შედეგები მიღწეულად და რა შემთხვევაა საყურადღებო. პროგრამის სამიზნე ნიშნულად, ზოგადსუნივერსიტეტო დოკუმენტის მიხედვით, შერჩეულია სტუდენტთა შეფასების შედეგები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს ასევე შედეგების განსაზღვრის კრიტერიუმებსა და შედეგების ანალიზის შემდეგ სავარაუდო დასკვნებს (3 ვარიანტი: სტუდენტები გენიოსები არიან, პროგრამა მარტივია, ლექტორი ლიბერალია). აღნიშნული სავარაუდო დასკვნების ვარიანტები განსხვავდება სამაგისტრო პროგრამების დასკვნებისგან (3 ვარიანტი: შერჩეულები არიან საუკეთესო მაგისტრანტები; მაგისტრანტთა მოტივაცია მაღალია; მაგისტრატურაზე ჯგუფების ზომა მცირეა). გარდა იმისა, რომ აღნიშნული მექანიზმი შეიცავს ბევრ უზუსტობებს (ტერმინების არსწორი მნიშვნელობით გამოყენება, სავარაუდო დასკვნები ძირითადად პოზიტიურ ტენდენციას ასახავს და შეიძლება შედეგი არ იყოს განხილული როგორც პროგრამის გამოწვევა და ა.შ.), ის ამავე დროს არ ასახავს საბაკალავრო-სმაგისტრო ინტეგრირებული პროგრამის/ პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარების შედეგად შესაძლო დასკვნების ვარიანტებს. ამასთანავე პროგრამის მტკიცებულებად წარმოდგენილია უშუალოდ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედგების შეფასების მექნიზმი, სადაც აღწერილია ასევე სამიზნე ნიშნულები. აღნიშნულ დოკუემნტში სწავლის შედგების შეფასების მექნიზმი რთულად აღსაქმელია, რაც ეჭვქვეშ აყენებს მის ქმედითობას. ხარისხის უზრუვნველყოფის სამსახურის წარმოამდგენლებთმა ინტერვიუს მიმდინარეობისას მკაფიოდ ვერ ახსნეს წარმოდგენილი მექნიზმის პრაქტიკაში გამოყენება. ამის შემდეგ ექსპერტებმა მოითხოვეს აღნიშნული მექნიზმის მეშვეობით პროგრამის შუალედური შეფასების შედეგები, რაც დაწესებულებამ არ წარმოადგინა. ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი მექანიზმით დაწესებულბამ უკვე განახორციელა სხვა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, თუმცა რამდენად ქმედითი და ეფექტური აღმოჩნდა ის, მკაფიოდ ვერ იქნა დასაბუთებული და ექსპერტთა მოთხოვნის მიუხედავად, შესაბამისი მტკიცებულება არ იქნა წარმოადგენილი.

აღნიშნული მიგნებებსა და აღწერილობებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საჭიროა, გადაიხედოს წარმოადგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც დაეყრდნობა ამავე/მომიჯნავე პროგრამების განხორციელების გამოცდილებას. ამავე გამოცდილებაზე დაყრდნობით განისაზღვრება სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და შესაბამისი მეთოდოლოგია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფსების მექნიზმი;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- თვითშეფასება;
- ინტერვიუს შედეგები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს სწავლის შედეგები გარკვეული დებულებების გადაფარვისა და ფორმულირებების დაზუსტების /შესწორების მიზნით;
- გადაიხედოს წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და სამიზნე ნიშნულები პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		x		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები: ა) ქართულ ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (ინგლისური ენა, რუსული ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა). აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ბ) მათემატიკა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი) პროგრამა არის პირობით აკრედიტებული. ინტერვიუებიდან და ვებ-გვერდზე

განთავსებული დაწესებულებაში მოქმედი პროგრამების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პროგრამის სრული აკრედიტაციის შემთხვევაში პროგრამის განახლებული წინაპირობების შესახებ ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირებას. სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გაიწეროს იმგვარად, რომ მისი ფორმულირება მოიცავდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხვის ყველა გზას, კერძოდ, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით. ამასთან, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნების მითითება არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან არჩევითი სავალდებულო საგნები განისაზღვრება ყოველწლიურად, აღნიშნულისათვის განკუთვნილი სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით და წლიდან წლამდე შესაძლოა განსხვავდებოდეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • უნივერსიტეტის ვებგვერდი; • თვითშეფასება; • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გაიწეროს იმგვარად, რომ მისი ფორმულირება მოიცავდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხვის ყველა გზას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სასწავლო უნივეტისტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად.

პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულია: საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი, ფაკულტეტის საბჭო, პროგრამის სამუშაო ჯგუფი, დაინტერესებული მხარეები (პროგრამის განმახორციელებელი აკადმიური და მოწვეული პერსონალი), ხარისხის უზრულველყოფის სამსახური. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი დაინტერესებული მახრეებისა და პერსონალის ჩართულობით, ასევე, პროგრამის სამუშაო ჯგუფთან განხილვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო კავშირში ახდენს პროგრამის შემუშავებას. საგანმანათლებლო პროგრამა წარედგინება საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს განხილვის შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის სააკრედიტაციოდ წარდგენის შესახებ.

წარმოდგენილი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის იმ აკადემიურ დატვირთვას, რაც საჭიროა და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 5 აკადემიურ წელი (10 სემესტრი) და მოიცავს 300 ECTS. სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი=750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა. სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: ლექციებს, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, აქტივობებისა და საშინაო დავალებებისთვის მომზადებას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და შემდეგია: · თავისუფალი კომპონენტი - 45 კრედიტი; · საგნობრივი და მეთოდური მოდული - 183 კრედიტი; · სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული - 72 კრედიტი. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილი არჩევითი სასწავლო კურსები ძირითადად მიმართულია სფეროსთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების გაღრმავებისკენ. მისი არჩევა მაგისტრანტს შეუძლია, საკუთარი სასწავლო/კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე 20 ECTS -ის მოცულობით. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, კომპონენტების თანმიმდევრობა, სასწავლო კურსების, კრედიტების სემესტრული განაწილება, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა. პროგრამის სტრუქტურა და მის შინაარსი უზრუნველყოფს დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. ის შესაბამისობაშია მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგიბრივ მახასიათებელთან. სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპიროებები მნიშვნელოვანია კვლევით უნარებზე ორიენტირებული საგნებისთვის, რომლებიც პროგრამაში თანმიმდევრულად არიან წარმოდგენილნი. ინტერვიუებით დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე (სტუდენტები და კურსდამთავრებულები, განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები). მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია მათი რეკომენდაციები. ამდენად, დგინდება, რომ სასწავლო გეგმა შემუშავებულია მათთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. მთლიანობაში, პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა არ წარამოდგენს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დამაბრკოლებელ გარემოებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა;

- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- თვითშეფასება;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კურსების ჩამონათვალი საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეიძინონ სფეროს სპეციფიკისთვის შესაბამისი თეორიული ცოდნა. სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანია და შინაარსის სიღრმის მიხედვით შესაბამება დაწყებითი განათლების და საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მისაღწევ დარგობრივ კომპეტენციებს. კერძოდ, სტუდენტი თავისუფალი სასწავლო სასწავლო კურსის ფარგლებში (საერთო ჯამში 45 ECT) გაივლის 4 სავალდებულო სასწავლო კურსს (საერთო ჯამში 20 ECT) და უცხო ენის სავალდებულო მოდულს (საერთო ჯამში 20 ECT). თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა შეადგენს 3 (საერთო ჯამში 5 ECT). საგნობრივი და მეთოდული მოდული შეადგენს 183 ECT-ის, რაც გადანაწილებულია 20 სასწავლო კურსში. საგნობრივი ჯგუფის მოდულის არჩევითი დისციპლინები (15 ECT) შედგება 6 სასწავლო კურსისგან, ხოლო პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის მოდული (საერთო ჯამში 62 ECT) – 14 სასწავლო კურსისგან. სასკოლო პრატკია და პრაქტიკის კვლევის მოდული (საერთო ჯამში 72 ECT) შედგება 7 კურსისგან. აღნიშნული სასწავლო კურსები სტუდენტს სიღრმისეულად აძლევს როგორც საგნობრივ ცოდნას, ასევე აცნობს პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, სწავლების მეთოდოლოგიის და მენეჯმენტის საკითხებს პროფესიისთვის შესაბამისი დონით.

სასწავლო კურსები ლოგიკურადაა გადანაწილებული 10 სემესტრის განმავლობაში. თუმცა, მნიშვნელოვანია გადაიხედოს კონკრეტული სასწავლო კურსების წინაპირობები. ქვემოთ მოყვანილია ჩამონათვალი აღნიშნული მოსაზრების საილუსტრაციოდ, ზოგადად, საჭიროა საგნების განფენილობის და მათი შინაარსის კომპლექსური გააზრება:

- სასწავლო კურსს „შესავალი თანამედროვე პედაგოგიკურ აზროვნებაში“ (ისწავლება მე-7 სემესტრში) არ გააჩნია წინაპირობა, თუმცა ასეთად შეიძლება მოვიაზროთ კურსი „პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები“ (ისწავლება 1 სემესტრში);
- კურსის „წერის და კითხვის სტრატეგიების“ (მე-4 სემესტრი) წინაპირობა შეიძლება იყოს „საბავშვო ლიტერატურა დაწყებით საფეხურზე“ (ისწავლება მე-5 სემესტრში);
- კურსის „სწავლისა და სწავლების თამანედროვე მიდგომები (I სემესტრი) ”შეიძლება იყოს „პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები” (მე-2 სემესტრი);
- კურსის „განათლება მდგრადი განვითარებისთვის” (მე-10 სემესტრი) წინაპირობა შეიძლება გახდეს „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციის განვითარება მოსწავლეებში” (მე-II სემესტრი).
- კურსის „სააღმზრდელო პროგრამა და მოსწავლის ფორმირება” (მე-5 სემესტრი) წინაპირობა შეიძლება გახდეს „ზოგადი ფსიქოლოგია” (მე-3 სემესტრი).
- კურსის “ინკლუზიური განათლება” (ისწავლება მე-4 სემესტრში) წინაირობა შეიძლება იყოს „სწავლისა და სწავლების თამანედროვე მიდგომები”, “პიროვნული განვითარებისა და სწავლების თეორიები”,” საკლასო შეფასება და დიფერენცირებული მიდგომა”.

სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტ ქულების გაანგარიშება ლოგიკურია, წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებული დაწესებულებისადმი წინა აკრედიტაციის პროცესში ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები. სასწავლო კურსების შინაარსის, ლიტერატურის, პრაქტიკული კომპონენტის, დამოუკიდებელი სამუშაო საათების გათვალისწინებით განსაზღვრულია კრედიტ ქულების რაოდენობა. თუმცა, სასურველია აღნიშნული ლოგიკა ნათლად იყოს გააზრებული აკადემიური პერსონალის მხრიდანაც.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა ვერ დაინახეს მათ მიერ კურსის მოცულობის კავშირების გააზრება კურსის შინაარსთან და სირთულესთან. რჩება წარმოდგენა, რომ ისინი მოერგენ შეთავაზებული კრედიტების მოცულობას და არა პირიქით.

საერთო ჯამში, პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, რეკომენდებულია გაიდახედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და უფრო გააზრებულად გაკეთდეს შედეგების კარტირება სასწავლო კურსებთან მიმართებაში. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

- **აკადემიური წერა:** არ გადის პროგრამის მე-2 შედეგზე, რომელიც ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა, შეფასებაზე.
- **შესავალი თანამედროვე პედაგოგიკურ აზროვნებაში**: ასევე გადის პროგრამის სწავლების მე-4 და მე-8 შედეგებზე.
- **დემოკრატიული კულტურის კომპეტენციის განვითარება მოსწავლეში:** კურსი ვერ გავა სქემით განსაზღვრულ მე-5 შედეგზე, კურსის მიზნების და შედეგების გათვალისწინებით.
- **ზოგადი განათლების სამართლებრივი საფუძვლები**: შესაძლებელია დამატებით გავიდეს პროგრამის მე-6 შედეგზე (მესამე დონით), რადგან ამ საგნის ფარგლებში შესაძლებელია პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება.
- **კლასის მართვა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შესაქმნელად**: დამატებით გადის პროგრამის მე-2 შედეგზე.
- **განათლება მდგრადი განვითარებისთვის**: მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე ვერ გავა პროგრამის მე-5 შედეგზე.
- **სამაგისტრო ნაშრომი:** არ გადის მხოლოდ მე-6 შედეგზე. შესაძლებელია დამატებით მოიაზროს პროგრამის ყველა შედეგი, ვინაიდან სამაგისტრო ნაშრომის მიზანია პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის ანალიზი და კვლევა.

პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე სასწავლო კურსები დალაგებულია დონეების მიხედვით: გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის კომპლექსურობის აღქმისთვის. თუმცა, საყურადღებოა, რომ გადასახედია დონეების განსაზღვრა სასწავლო კურსების მიზნების და შედეგების გათვალისწინებით. აღნიშნული შენიშვნა განსაკუთრებით რელევანტურია თეორიული კურსების შემთხვევაში, ვინაიდან შესაბამისი კომპეტენცია ვერ ექნება ბაკალავრიატის დონის სტუდენტებს. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

- აკადემიური წერაა, კურსი რომელსაც სტუდენტები პირველ სემესტრში გადიან, პროგრამის დოკუმენტის მიხედვით, პირველ შედეგზე გადის განმტკიცების დონით, ხოლო მეორე შედეგზე გაღმავების დონით. კურსის შინაარსიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით რომ საგანი პირველ სემესტრშია შეთავაზებული, შეიძლება გავიდეს მხოლოდ გაცნობის ან გაღმავების დონეზე.
- მათემატიკა 1 და მათემატიკა 2, ორივე კურსის შემთხვევაში მოცემულია, რომ კურსი გაღრმავების დონე, როდესაც შესაძლებელია მოიაზრებოდეს განმტკიცების დონეზე, ვინაიდან საგნობრივი კომპეტენციის ჯგუფში შედის.
- მათემატიკის სწავლების მეთოდიკის შემთხვევაში იგივე შენიშვნაა, ვინაიდან კურსები იყო მეთოდიკა 1 და 2-ად, შესაბამისად შესაძლებელია განმტკიცებისგაღმავების დონეზე გასვლა, ვინაიდან საგნობრივი კომპეტენციის ჯგუფში შედის. .
- ზოგადი განათლების სამართლებრივი საფუძვლები, პროგრამის მე-8 და მე-9 შედეგებზე გავა მხოლოდ "გაღრმავების" დონით.

- საინფორმაციო ტექნოლოგიები, შინარსიდან გამომდინარე, მე-7 შედეგზე გავა "გაღრმავების" ან " გაცნობის" დონით.
- უცხო ენის მოდულში შემავალი კურსები: მოცემული სილაბუსის შინაარსით ვერ გავა მე-7 შედეგის "განმტკიცებაზე", საჭიროა მოინიშნოს გაცნობა..
- ქართული ენა: ქართული ენა 1 და 2 არის "განმტკიცება", მაშინ როცა 3 შედეგზე მითითებულია "გაღრმავება", რაც უმართებულო ჩანს, სამივე უნდა იყოს "განმტკიცება" კურსების შინაარსიდან გამომდინარე.

ცალკეულ ინდივიდუალურ სასწავლო კურსებს აქვს განსაზღვრული მიზანი და სწავლის შედეგები. ერთობლიობაში, კურსების სასწავლო შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას. თუმცა, მნიშვნელოვანია ინდივიდუალურად სასწავლო კურსების შედეგების ფორმულირების გადახედვა/გასწორება/დაზუსტება. გარკვეულ შემთხვევებში, სწავლის შედეგების ფორმულირების დროს, ცოდნა-გაცნობიერების კომპეტენციის აღსაწერად გამოყენებულია უფრო პრაქტიკული უნარების აღმწერი შედეგები. ასევე, გარკვეულ შემთხვევებში წარმოდგენილი შედეგი არის ძალიან ვიწრო და არ შეესაბამება დარგობრივ მახასიათებლის კომპეტენციების აღმწერს. ზოგადად, რეკომენდებულია კურსის სწავლის შედეგების ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისი აქტიური ზმნებით დალაგება საილუსტრაციოდ, შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

- კურსი **"საინფორმაციო ტექნოლოგიების"** ცოდნა-გაცნობიერების შედეგი განსაზღვრულია შემდეგნაირად: "სტუდენტი განსაზღვრავს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის სოციალური, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტებს". სემესტრის განმავლობაში გაწერილი შინაარსი არ საუბრობს სამართლებრივ ასპექტებზე. გარდა ამისა, აღნიშნული ფორმულირების შედეგი უფრო უნარია, ვიდრე ცოდნა.
- **ინგლისური ენის B2 დონე ჩაშლილია** 4 სასწავლო კურსად. ოთხივეს აბსოლუტურად იდენტური მიზანი აქვს. გარდა ამისა, მიზანში ნახსენებია, რომ "...სასწავლო კურსის გავლის მიზანია სტუდენტი მოემზადოს საერთაშორისო გამოცდების ჩასაბარებლად", თუმცა აღნიშნული საკითხი საერთოდ არაა დაფარული სილაბუსის შინაარსით. ოთხივე სილაბულის შედეგები გადასახედია, შინაარსობრივად ზოგადი ზედმეტად კონკრეტულია და კონკრეტულ აქტივობას აღწერს, მაგალითად "შეუძლია გაიგოს ფულთან დაკავშირებული იდიომები". მით უმეტეს რომ "გაიგოს" ვერ იქნება "განმტკიცების" შესაბამისი დონის აღმწერი. ზოგადად, წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი ვერ უზრუნველყოფს ყველა უნარის (კითხვა, მოსმენა, წერა, საუბარი) თანაბარი დონით განვითარებას, შესაბამისად უნდა მოხდეს დიფერენციაცია ან აქცენტირება ისეთ უნარებზე, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის პროფესიისთვის/კომპეტენციისთვის (მაგ. კითხვა, წერა). იგივე შენიშნვაა A2 და B1 დონის სილაბუსებთან.

სასწავლო კურსების შინაარსის სირღმისეულად გაცნობის შედეგად, გამოიკვეთა გარკვეული თემატური გადაფარვები. მაგალითად: "საკლასი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება" და " სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომები" - ორივე კურსში განხილულია ბლუმის ტაქსონომია, ა.შ. თუმცა, გასაუბრების პროცესში, პროგრამის თანახელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შინაარსობრივად თითოეული თემა არაა გამეორება, არამედ ერთი თემის ლოგიკური განვითარებაა და სიღრმეებში ჩასვლას მოიაზრებს. აღნიშნული მოსაზრება გადამოწმდა სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურის შედარებით. შესაბამისად, მიღებული განმარტება მიზანშეწონილად ჩაითვალა. თუმცა, გასაუბრების დროს პროგრამის ხელმძღვანელს და აკადემიურ პერსონალს ვკითხეთ აეხსნათ მექანიზმი, რითაც უზრულველყოფდნენ

კურსებს შორის თემატური გადაფარვის თავიდან აცილებას და აკადემიურ პერსონალს შორის კოორდინირებას. აღნიშნულ კითხვაზე ექსპერტებმა ვერ მიიღეს დამაჯერებელი და ამომწურავი პასუხი. შესაბამისად, სასურველია, პროგრამის ეფექტური განვითარების/დანერგვის მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს, ლოგიკური ინტერვალით, აკადემიური და მოწვეულ პერსონალთა ერთობლივი შეხვედრები, განხილვები. სასწავლო კურსებში წარმოდგენილი ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად, გამოიკვეთა, რომ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, შეესაბამება სფეროს აქტუალურ მიღწევებს. თუმცა, სასურველია მოცემული ლიტერატურა კიდევ უფრო დაიტვირთოს უახლოესი კვლევებით სფეროს მიხედვით. დადებითი პრაქტიკაა, რომ ლიტერატურის გაციფრულების პროცესი მიმდინარეობს, სილაბუსებში წარმოდგენილია შესაბამისი ლინკები დაწესებულების ბიბლიოთეკიდან. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსების ფარგლებში სავალდებულო ლიტერატურას შორის თითქმის არ ვხვდებით ინგლისურენოვან ლიტერატურას. გარადა ამისა, თითქმის არ ვხვდებით რიდერებს, რომელიც უახლეს ინგლისურენოვან ლიტერატურაზე დაყრდნობით იქნება ლექტორის მიერ შექმნილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის შეთავაზებულია სამი ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) შესწავლის შასაძლებლობა ენის პრაქტიკული კურსების სახით, თუმცა პროგრამაში ასევე ნაკლებად ვხვდებით გერმანულ ან ფრანგულ ენაზე შეთავაზებულ სავალდებულო ან დამატებით ლიტერატურას. აღნიშნული მიგნება ართულებს დადგენას, რამდენად მზად არის სტუდენტი შერჩეულ თემატიკაზე საკვლევი საკითხი, სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში,გაამდიდროს შესაბამისი უცხოენოვანი უახლესი კვლევებითა და დარგობრივი ლიტერატურით. ასევე ბუნდოვანია, რამდენად უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში წარმაოდგენილი პერსონალი რომელიმე უცხო ენაზე დამუშავებული წყაროების შეფასებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის დოკუმენტი ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ კურიკულუმის რუკა ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ● რეკომენდებულია, გაიდახედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა. დაზუსტდეს კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობა სამი დონის მიხედვით. დოკუმენტის დაზუსტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კურსის შედეგები, შინაარსი, სემესტრული განფენილობა; ● რეკომენდებულია, გადაიხედოს ცალკეული სასწვლო კურსების შედეგები. გარკვეულ შემთხვევებში, სწავლის შედეგების ფორმულირების დროს, ცოდნა-გაცნობიერების კომპეტენციის აღსაწერად გამოყენებულია უფრო პრაქტიკული უნარების აღმწერი შედეგები. ასევე, გარკვეულ შემთხვევებში წარმოდგენილი შედეგი არის ძალიან ვიწრო და არ შეესაბამება დარგობრივ მახასიათებლის კომპეტენციების აღმწერს. ზოგადად, რეკომენდებულია კურსის სწავლის

შედეგების ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისი აქტიური ზმნებით დალაგება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● სასურველია, გადაიხედოს კონკრეტული სასწავლო კურსების წინაპირობები. აღნიშნული ცვლილება მეტ ლოგიკურობას შესძენს პროგრამის განფენილობას, ასევე უზრუნველყოფს ცოდნის გაღრმავებას კონკრეტული კომპეტენციების მიმართულებით. ● სასურველია, აკადემიურ პერსონალს ნათლად ესმოდეს კრედიტ ქულების მინიჭების ლოგიკა და შეძლოს აღშნინული ლოგიკის დასაბუთება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქმნება შთაბეჭდილება, რომ კრედიტწბი მექანიკურადაა გადანაწილებული, სასწავლო კურსების მოცულობის, შინაარსის, სირთულის გათვალისწინების გარეშე. ● თანამშრომლობით პრაქტიკის დასანერგად, სასურველია, რეგულარული ინტერვალით გაიმართოს შეხვედრები პროგრამის აკადემიური პერსონილის ჩართულობით, როდესაც მოხდება პროგრამის შინაარსი განხილვა, ასევე, სწავლა-სწავლების პროცესის გამოცდილების გაზიარება; ● სასურველია, სტუდენტებისადმი შეთავაზებული ლიტერატურის მუდმივი განახლება. ასევე, საჭიროა უცხო ენოვანი ლიტერატურის ირგვლივ რიდერების მომზადება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლეევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულს, საერთო ჯამში 72 კრედიტის მოცულობით. საერთო რაოდენობას ასევე გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ 20 კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომის შესრულება. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება ძირითადად გადანაწილებულია ბოლო სამი სემესტრის განმავლობაში (სემესტრი VIII, IX, X), ბოლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტი წერს სამაგისტრო ნაშრომს. პრაქტიკის სილაბუსების განხილვისას, გამოიკვეთა, რომ სტუდენტები გადიან როგორც პასიურ, ასევე აქტიურ პრაქტიკას. მათ ეძლევათ საშუალება, დააკვირდნენ გაკვეთილებს, დაგეგმონ სასწავლო პროცესი, მოახდინონ რეფლექსია საკუთარი გამოცდილების გაანალიზების გზით. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს "პედაგოგიური პრაქტიკის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები", რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ რუბრიკებს და ფორმებს. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი არსებობს, გასაუბრების დროს ვერ გამოიკვეთა აღნიშნული მექანიზმის ეფექტურად გამოყენების პრაქტიკა. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ პრაქტიკის განმავლობაში, ავსებენ ფორმებს, თუმცა ვერ დაასახელეს ლექტორისგან უკუკავშირის მიღების რეალური მაგალითები. მნიშვნელოვანია რომ სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულის განხორციელების პროცესში, დაწესებულებას ჩართული ჰყავს თეორეტიკოსები და პრაქტიკოსი მასწავლებლები/ტრენერები, მაგალითად, STEM და ლიდერობის აკადემიის ტრენერები. აღნიშნული უზრუნველყოფს კვლევის პროცესში პრაქტიკული ასპექტების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღებას, ასევე ზოგადი განათლების სისტემის გამოწვევების რეალურ გააზრებას და ანალიზს. სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შესრულება უზრუნველყოფს პროგრამის განმავლობაში თეორიული და პრაქტიკული უნარების გამოყენების შესაძლებლობას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და წარდგენილის შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის გზით, სტუდენტები ასევე ივითარებენ ისეთ უნარებს, როგორიცაა საჯარო მეტყველება და სხვა. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობას გაუწევენ შესაბამისი გამოცდილების მოწვეული ლექტორები. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სამეცნიერო წერის სტილისა და კვლევის მეთოდოლოგია, რაც სტუდენტებისთვის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების გზამკვლევია. აქვე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილია სასწავლო უნივერსიტეტის კვლევების განვითარების სტრატეგიული გეგმა 2021-2024 წლებისთვის. ამოცანა 3.2 და 3.3-ში თითქოს ნახსენებია სამაგისტო პროგრამებზე კვლევის კომპონენტის ხელშეწყობა, თუმცა სასურველია ცალკე ამოცანად დაისახოს სტუდენტების კვლევითი უნარების გაძლიერება, მათი კვლევით პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა. გასაუბრების დროს, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სტუდენტი მიღებული ცოდნის საფუძველზე თავად ირჩევს მისთვის საინტერესო მიმართულებას/საკითხს, რაზეც კვლევას განახორციელებს. თუმცა, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ძირითადად, მათ აწვდიან სავარაუდო თემების ჩამონათვალს და ისინი ამ ჩამონათვალიდან აირჩევენ სამაგისტრო თემას. იმისათვის რომ ხელი შევუწყოთ სტუდენტებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას, მნიშვნელოვანია რომ ეს პრაქტიკა შეიცვალოს.

სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს 18 მომორანდუმი სკოლებთან, უმეტესობა თარიღდება 2019 წლით. რეგიონის ზოგადი განათლების დაწესებულებთან მჭიდრო თანამშრომლობა კარგი პრაქტიკაა, რაც სარგებელის მომტანია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე თავად ზოგადი განათლების დაწესებულებებისთვის. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლებთან თანამშრომლობა აქტიურად მიმდინარეობს.

ასევე, საყურადღებოა, რომ სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ჩართული არიან საერთაშორისო პროექტებში. მაგალითად, გერმანიის ბილფილდის უნივერსიტეტთან განხორციელდებული პროექტი, Erasmum + ფარგლებში, დასახელდა საინტერესო გამოცდილებად, როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის მიერ.

პრაქტიკული უნარ-ჩვევევის განვითარების კომპონენტები მეტ-ნაკლებად ჩანერგილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. სილაბუსების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოიყენება შემთხვევების ანალიზი, პრეზენტაციები, პროექტების მომზადება და სხვა. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შუალედური და დასკვნითი გამოცდებით ძირითადად მოწმდება სტუდენტის თეორიული ცოდნა, არაა აქცენტი გაკეთებული პრაქტიკული უნარების შეფასებაზე. მაგალითად, შუალედურ და დასკვნით გამოცდებში შეიძლება დაინტეგრირდეს სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოები/დავალებები, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგალითად როგორიცაა იგივე შემთხვევის ანალიზი და სხვა. საერთო ჯამში, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე მეტი აქცენტირების საჭიროებას ასახელებენ თავად პროგრამის სტუდენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პედაგოგიური პრაქტიკის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადერმიური საბჭოს, სამსახურეობრივი ბარათი, სამეცნიერო წერის სტილისა და კვლევის მეთოდოლოგია
- სამეცნიერო წერის სტილის სახელმძღვანელო
- კვლევების განვითარების სტრატეგიული გეგმა 2021-2024
- მემორანდუმები
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სტუდენტებისთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდება მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით. უნდა დამკვიდდრეს შედეგების გარჩევის, დისკუსიის პრაქტიკა.

- სასურველია, დალაგდეს სამაგისტრო თემის საკითხის შერჩევის პრაქტიკა.

სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია მათ თავად შეძლონ თემის იდენტიფიცირება, სწავლის პროცესში გამოკვეთილი მათთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს ლექტორის 2019 წლის 11 ივნისის ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული დოკუმენტი "სწავლების ახალი მეთოდების დანერგვის მიზნით აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების შესახებ". დოკუმენტისა და წარმოდგენილი სილაბუსების შესწავლის შედეგად, ასევე ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ გამოყენებული მეთოდები შემუშავდა უნივერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო პროგრამის (STAR) ფარგლებში შექმნილი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს საფუძველზე. სილაბუსებში არის წარმოდგენილი მეთოდების მრავალფეროვნება, მათ შორისაა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დავალებაზე დაფუძნებული სწავლება, აღმოჩენის მეთოდით სწავლება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და სხვა.

თუმცა, სილაბუსების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსებში თითქმის არსად არაა მონიშნული ელექტრონული სწავლების მეთოდი (მხოლოდ უცხო ენის სილაბუსსა და საინფორმაციო ტექნოლოგიებშია ასახული), რაც პენდემიის პირობებში, ფაქტობრივად შეუძლებელია. აღნიშნული შეიძლება ტექნიკური ხასიათის პრობლემაც იყოს, რადგან სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი იყენებს დისტანციური სწავლების მეთოდებს. სასწავლო დაწესებულების დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ონლაინ სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი. თუმცა, არაა მოცემული აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენების შედეგად მიღებული შედეგების ანალიზი. აქვე აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია გარკვეული აქტივობების გატარება, ონლაინ სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. კვლავაც, კონკრეტულად გადადგმული ნაბიჯების ანალიზი ან შეჯამება არაა ნათლად წარმოდგენილი. სასურველია, სასწავლო უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა ამ მიმართლებით. ვინაიდან სასწავლო უნივერსიტეტი ასევე ემსახურება სტუდენტებს კონფლიქტის ზონიდან, მათ აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მომზადების და დანერგვის გამოცდილება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● სწავლების ახალი მეთოდების დანერგვის მიზნით აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების შესახებ“ რექტორის 2019 წლის 11 ივნისის ბრძანება, სამსახურეობრივი ბარათი ● პროგრამის დოკუმენტი ● ინტერვიუს შედეგები ● სილაბუსები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია გამოყენებული იყოს ICT ტექნოლოგიებით სწავლების მეთოდი. აღნიშნული უნდა აისახოს სილაბუსებში, ასევე მოხდეს პრაქტიკულად დანერგვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლა. აღსანიშნავია, რომ შეფასების კომპონენტები დალაგებულია "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის მიხედვით. სილაბუსებში წარმოდგენილია შუალედური და დასკვნითი შეფასებები. ასევე გაწერილია შუალედური შეფასების კომპონენტები (წერითი გამოცდა, ქვიზი, სემინარი, საშინაო დავალება, პრეზენტაცია, პროექტის მომზადება, ა.შ.). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეინიშნება შეფასების კომპონენტების მიმართ უფრო უნიფიცირებული მიდგომა, ვიდრე შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსის და შედეგების გათვალისწინება. ასევე, მეტ-ნაკლებად უნიფიცირებულია თითოეული კომპონენტის ხვედრითი წილი შუალედურ შეფასებაში. მაგალითად, სილაბუსებში სადაც გამოყენებულია პრეზენტაცია. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

- აკადემიური წერა და ფილოსოფიის ისტორიაში შუალედური შეფასების კომპონენტებია: სემინარი (7*2ქულა), ქვიზი ან პრაქტიკული მუშაობა (7*3ქულა), საშინაო დავალება ან პრეზენტაცია (1*10 ქულა); იგივე გადანაწილებაა ინკლუზიური განათლების სილაბუსში.
- ზოგადი განათლების სამართლებრივი ბაზაში, სასკოლო ურთიერთობების ეთიკაში, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციის განვითარების სილაბუსებში რეფერატი შეფასებულია მუდმივად 15 ქულით, ხოლო პრეზენტაცია - 17 ქულით.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სილაბუსებში გაწერილია შეფასების რუბრიკები თითეული კომპონენტისთვის, მაგრამ ძირითადად რუბრიკებიც უნიფიცირებული. შესაბამისად,

მიზანშეწონილია შეფასების კომპონენტების კიდევ უფრო მეტი დივერსიფიკაცია, სასწავლო კურსის სპეციფიკაზე მორგება და რუბრიკების გადახედვა.

ამას გარდა, შესწავლილი სილაბუსებისა და ინტერვიუს პროცესში ნათლად ვერ გამოიკვეთა თუ როგორ გადის სასწავლო კურსში წარმოდგენილი შეფასების თითოეული კომპონენტი ამავე სასწავლო კურსით განსაზღვრულ შედეგებზე. აღნიშნულის შესახებ ვერ მივიღეთ ამომწავი პასუხი პროგრამის ხელმღვანელის თუ აკადემიური პერსონალისგან. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულია პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა. სამწუხაროდ, დოკუმენტი ბუნდოვანია. მასში წარმოდგენილია სქემა, სადაც პროგრამის სწავლის შედეგები გამსხვილებულია 5 ძირითადად შედეგად. შესაბამისად, მოცემულია სასწავლო კურსების ჩამონათვალი, რომელიც ამ 5 შედეგზე გადის, თუმცა არ ჩანს, არ იკვეთება, რა პრინციპით არის დაჯგუფებული სასწავლო კურსები სწავლის შედეგების A B C D E მაჩვენებლებში. პროგრამა შედგება 46 სასწავლო კურსისგან, ხოლო აღნიშნული სქემის სვეტში მოყვანილია დაახლოებით 15 სასწავლო კურსი. შესაბამისად, საჭიროა სასწავლო კურსის შედეგების შეფასების სქემის უფრო მარტივი, ნათელი მოდელის შემოთავაზება.
აღნიშნული ხარვეზი განსაკუთრებით თვალშისაცემია ისეთი პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევის შემთხვევაში, როგორიც არის სასწავლო გეგმის შემუშავება, დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ინდივიდუალური გეგმის შემუშავება და ა.შ. სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის აღწერილი ისეთი დავალება / აქტივობა, რომლის დროსაც სტუდენტს მოუწევს შესაბამისი პრაქტიკული დავალების შესრულება. შეფასების რუბრიკა ასევე არ ითვალისწინებს შესაბამისი პრაქტიკული აქტივობების რელევანტურ კრიტერიუმებს. ზოგიერთ შეფასების კომპონენტებს შორის ვხვდებით პრეზენტაციის, ქეისისი ანალიზის შეფასების რუბრიკებს, რაც მოწვეული და აკადემიური პერსონალის განმარტებით სწორედ პრაქტიკული უნარებისს შეფასებას ემსახურება, თუმცა აღნიშნული რუბრიკის შინაარსი ძირითადად ორიენტირებულია შესრულებული დავალების ტექნიკური მახასიათებლებისა ან თერიული ცოდნის შეფასებაზე.

სადემოსნრაციოდ განვიხილავთ კვლევისა და პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში წარმაოდგენილ კურსებს. კერძოდ, კვლევის კომპონენტის ფარგლებში წარმოადგენილი კურსების შეფასების სისტემის განხილვა. პორგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომისთვის მოსამზადებლად დაგეგმილია რამდენიმე სასწავლო კურსი - კვლევის თანამედროვე მეთოდები, პრაქტიკის კვლევა, კვლევის დიაგნოსტირება და დიფერნცირებული მიდგომა. აღნიშნულ კომპონენტთან და კურსებთან მიამრთები ექსპერტთა ჯგუფს აქვს შემდეგი სახის მიგნებები:

- დაკორექტირდეს სასწავლო კურსის “კვლევის დიაგნისტირება და დიფერენცირებული მიდგომა” დასახელება. კურსის შინაარსიდან გამომდინარე, მისი დასახელება უნდა იყოს “დიაგნოსტიკური კვლევა და დიფერენცირებული მიდგომა”;
- კურსის ფარგლებში “კვლევის თანამედროვე მეთოდები” შეფასების კომპონენტად განსაზღვრულია ანკეტის შევსება, რომელსაც ლექტორი ურიგებს სტუდენტებს.

კურსის ფარგლებში არ არის დაგეგმილი თავად ინსტრუმენტების მომზადება და მისი შეფასება. ამის შედეგ სტუდენტები აანალიზებენ შევსებულ კითხვარებს და წარამოდგენენ დიაგრამების სახით. კურსის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლება მოიცავს უფრო მრავაფეროვან მეთოდებს, რომლებსაც, კურსსი შეფასების სისტემიდან გამომდინარე, აღნიშნული კურსი ვერ ფარავს და საჭვი ხდება ამავე კურსის სწავლის შედეგების მიღწევა;

- კურსის ფარგლებში "პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევა" გათვალისწინებული შეფასების კომპონენტები და შესაბამისი რუბრიკები არ მოიცავს პრაქტიკის კვლევის სპეციფიკას. შესაბამისად, ბუნდოვანია, რამდენად ფასდება აღნიშნული კურსით გათვალისწინებული შესაბამისი კომპეტენციები. ეს კი, ართულებს კურსით გათალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას.

ზემოთ აღნიშნული მიგნებებიდან გამომდინარე, ექპსერტთა ჯგუფს მიაჩნია, უნდა გადაიხედოს სამაგისტრო-კვლევითი ნაშრომისთვის მოსამზადებელი კურსების შინაარსი, აქტივობები და შეფასების სისტემა. სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა აღნიშნული კურსების ფარგლებში ჩაატარონ კვლევები შესაბამისი კვლევის დიზაინის ყველა ეტაპის გათვალისწინებით და ეს აისახოს შესაბამისი კურსების შეფასების სისტემაზე.

შეფასების სისტემის - კომპონენტებისა და წარმოდგენილი რუბრიკების ხარვზებს უკავშირდება ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებული გამოკვეთილი მიგნებები. პროგრამის ფარგლებში წარმოადგენილი ყველა კურსი მოიცავს პრაქტიკულ აქტივობებს (მათი სწავლის შედეგების გათალისწინებით). ეს შეიძლება არ იყო უშუალოდ პრაქტიკის ადგილებზე ვიზიტების ფარგელბში განსახორციელებელი აქტივობები . მაგ. გაკვეთილის გეგმის შემუშავება, მოსწავლეებში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა, შეფასების რუბრიკების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და ა.შ. რაც შესაძლებელია სასემინარო შეხვედრების ფარგლებში სიმულაციური აქტივობებით შეიძლება დაიძლიოს, თუმცა კურსების სილაბუსებში ასეთ აღწერებს არ ვხვდებით. აქედან გამომდიანრე, შეფასების კომპონენტები და რუბრიკები განსაკუთრებული დაკვირვებისა და განხილვის ობიექტად იქცა ექსპერტთა მხრიდან. კერძოდ, რამდენად არის გათვალისწინებული საგნობრივ და მეთოდურ ბლოკში შემავალ სავალდებულო კურსებში პრაქტიკული აქტივობების შესაბამისი შეფასების კომპონენტები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ზემოთ აღნიშნულ კურსებში შეფასების სისტემა ძირითადად ორიენტირებულია თეორიული ცოდნის შემოწმებაზე - რეფერატი, ტესტირება, პრეზენტაცია. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ბუნდოვანია, რამდენად უზრუნველყოფს პროგრამა სტუდენტების მომზადებას დამოუკიდებელი, საველე პრაქტიკისთვის მომზადებასა და გარდა ამისა, საგნობრივ და მეთოდურ ბლოკში შემავალ სავალდებულო კურსებში გათალისიწნებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობებს. ამდენად უნდა გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შდეგები და ის შესაამისობაში მოვიდეს შესაბამისი კურსების სწავლის შედეგებთან.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები იცნობენ შეფასების კომპონენტებს, კრიტერიუმებს. მათ აღნიშნეს, რომ ლექტორი აცნობს სტუდენტებს სილაბუსებს და

განიხილავს შეფასების სისტემას. თუმცა, სტუდენტები ვერ ასახელებენ შეფასებასთან დაკავშირებით ლექტორისგან უკუგების მიღების კონკრეტულ მაგალითებს. ძირითადად, უკუგება შემოიფარგლება შეფასების გაცნობით, ხოლო გასაუბჯობესებელი საკითხების ირგვლივ დისკუსია არ მიმდინარეობს. შესაბამისად, რეკომენდებულია დაიხვეწოს სტუდენტების შეფასების სისტემაში ჩართვის მექანიზმი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სილაბუსები • პროგრამის დოკუმენტი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კომპონენტებისა და რუბრიკების გადახედვა. შეფასების კომპონენტები უნდა იყოს დიფერენცირებული და ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის სპეციფიკას. რუბრიკები უნდა ცხადყოფდეს თუ როგორ გადის კონკრეტული შეფასება სასწავლო კურსის კონკრეტულ შედეგებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა პრაქტიკული უნარების შეფასების კომპონენტები. აღნიშნული სილაბუსები ზოგადია და არ გამოხატავს საგნის სპეციფიკას და მისაღწევ შედეგებს. • რეკომენდებულია გადაიხედოს და გამარტივდეს სწავლის შედეგების მიღწევის სქემა. • რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო-კვლევითი ნაშრომისთვის მოსამზადებელი კურსების შინაარსი, აქტივობები და შეფასების სისტემა. სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა აღნიშნული კურსების ფარგლებში ჩაატარონ კვლევები შესაბამისი კვლევის დიზაინის ყველა ეტაპის გათვალისწინებით და ეს აისახოს შესაბამისი კურსების შეფასების სისტემაზე. • რეკომენდებულია, შეფასების სისტემაში სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა. მხოლოდ ქულების განსაზღვრით სტუდენტი ვერ იღებს ამომწურავ ინფორმაციას გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			x	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - შოთა მესხიას სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში დანერგილია სტუდენტთა სხვადასხვა ტიპის მომსახურება. სტუდენტს აქვს საშუალება, დროულად მიიღოს საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და დასაქმების შესაძლებლობის შესახებ. დაწესებულების აკადემიური პერსონალი და შესაბამისი სამსახურები უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის. კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ლექტორები სტუნდეტებს უგზავნიან ინფორმაციას შესაბამისი პროფილით გამოცხადებული კონკურსებისა და ვაკანსიების შესახებ. უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სტუდენტთა მომსახურების სერვისების შესახებ. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით, თუმცა პანდემიური სიტუაციის გამო სწავლებისა და კონსულტაციების პროცესი, ძირითადად, დისტანცურად წარიმართება. სტუდენტებს ასევე აქვთ წვდომა სხვადასხვა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე (სკოპუსი, მენდელეი). აღსანიშნავია ტექსტების ბრაილის შრიფტზე გადამაყვანი აპარატურის/სკანერის არსებობა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მხრიდან ინტერვიუების შედეგად გამოიხატა მხედველობის დარღვევის მქონე სტუდენტის მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესში შეუფერხებელი ჩართვის მზაობა, ასეთი სტუდენტის არსებობის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია სხვადასხვა სერვისით ონლაინსარგებლობა, სილაბუსებში არ ჩანს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენება და არც ინტერვიუების დროს გამოკვეთილა, რომ სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ ზემოხსენებული სერვისებით სწავლის პროცესში.

პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტი ცდილობს სტუდენტებს შესთავაზოს სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა. პანდემიური პირობების გათვალისწინებით, დაწესებულებამ ბელფილდის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ამ პროგრამის სხვადასხვა სემესტრის სტუდენტებს შესთავაზა ბელფილდის უნივერსიტეტის სალექციო ონლაინკურსი "კოგნიტური ქცევის თერაპიის შესავალი". ამ გამოცდილების შესახებ ასევე ილაპარაკეს სტუდენტებმა ინტერვიუების დროს და აღნიშნეს, რომ მათთვის ამ ინგლისურენოვანი კურსის მოსმენა გავლა გარდა ცოდნის მიღებისა, იყო ინგლისური ენის დახვეწის კარგი საშუალება. ერთ-ერთმა სტუდენტმა ახსენა ასევე პანდემიის პერიოდში მოკლევადიანი კურსების გავლის შესაძლებლობა, რომლითაც ისარგებლა კიდეც.

სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ კონსულტაცია გაიარონ როგორც აკადემიურ, ასევე, ადმინისტრაციულ საკითხებზე უნივერსიტეტის პერსონალთან. აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვა ხელშეკრულებებით ითვალისწინებს საკონსულტაციო საათებსაც.

ინტერვიუებით დადასტურდა, რომ ლექტორები სტუდენტებს აცნობენ სილაბუსის შინაარსს, სწავლების მეთოდებს, შეფასების კრიტერიუმებსა და კომპონენტებს. სტუდენტებმა იციან შეფასების გასაჩივრების პროცედურა და მექანიზმები, თუმცა აღნიშნავენ, რომ ამით არასდროს უსარგებლიათ, რადგანაც არ ყოფილა გასაჩივრების საჭიროება.

სტუდენტებს პროფესიული ზრდის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ

სასწავლო პრაქტიკა. სკოლებში გავლილი პრაქტიკა მათ თავდაჯერებულობასა და პროფესიის სიყვარულს ჰმატებთ.

სტუდენტების აზრით, სასწავლო უნივერსიტეტში დანერგილია ჯანსაღი გარემო და აკადემიური პერსონალი ორიენტირებულია, ხელი შეუწყოს მათ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებას.

პანდემიის დროს სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში გადასვლის შემდეგ დაიხვეწა უნივერსიტეტის სასწავლო ელექტრონული ბაზა. როგორც ინტერვიუების დროს პროფესორ-მასწავლებლების მიერ აღინიშნა, ბაზაში თითოეული კურსის ფარგლებში ატვირთულია სასწავლო მასალა. სტუნდენტები სარგებლობენ მუდლის პლატფორმითა და LMS ბაზით სასწავლო პროცესში. ამასთან, უნივერსიტეტმა პანდემიური სიტუაციის გამოწვევების დაძლევისათვის სტუდენტებს შესთავაზა ჩაწერილი ლექციები.

ინტერვიუების დროს ადმინისტრაციულმა პერსონალმაც და სტუდენტებმაც აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სპეციალური კითხვარების საშუალებით აფასებენ სასწავლო კურსებსა და ლექტორის პროფესიულ უნარებს. თუმცა სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ კითხვარების შევსებას მეტისმეტად ხშირად სთხოვენ და ზოგჯერ მათი შევსების სურვილიც არ აქვთ. აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ რეგულარულად ეცნობიან სტუდენტთა შეფასებებს და ცდილობენ გაითვალისწინონ შედეგები მომდევნო სასწავლო კურსების შედგენასა და განვითარებაში, თუმცა აღნიშნული რაიმე სახის ემპირიული მტკიცებულებით არ დასტურდება. სტუდენტებმა გაიხსენეს შემთხვევა, როდესაც მათ უკუკავშირს სალექციო კურსის შესახებ მოჰყვა შედეგი და ლექტორმა შეცვალა დავალების შინაარსი და შეფასების კრიტერიუმები, თუმცა ეს ცვლილება უშუალოდ სილაბუსში არ ასახულა.

სასურველია და მნიშვნელოვანია კითხვარების სრულყოფა და შედეგების ანალიზის კომპლექსურობის უზრუნველყოფა. გამოკითხვების სტუდენტთა საჭიროებებზე, დროზე მორგება და ისეთ ღონისძიებების გატარება, რომლებიც სტუდენტებს წაახალისებენ კითხვარების შევსებასა და სასწავლო კურსების, პროფესორ-მასწავლებელთა და, ზოგადად, პროგრამის ობიექტურად და ანონიმურად შეფასებას. მნიშვნელოვანია გამოკითხვის შედეგების ანალიზი და სასწავლო კურსის შინაარსში მათი დროული ასახვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- პროგრამის დოკუმენტი
- შრომითი ხელშეკრულებები
- ინტერვიუს შედეგები
- სილაბუსები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გადაიხედოს და დაიხვეწოს სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები, გამოკითხვა მოერგოს სტუდენტთა საჭიროებებს. შედეგების გამოყენება მოხდეს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მაგისტრატურის დებულება, რომელშიც აღწერილია სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა, ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევისა და მაგისტრანტთან თანამშრომლობის პროცედურა და მექანიზმი (მუხლები: 13, 14, 15, 16, 17, 18, 19). დებულებაში გაწერილია ნაშრომის დიზაინი, მაგრამ არ არის აღნიშნული ლიტერატურის დამოწმების სტილი, სამეცნიერო სტილზე საუბარია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში (უნივერსიტეტს არჩეული აქვს MLA დამოწმების სტილი). სასურველია მაგისტრატურის დებულებაშიც აღნიშნული იყოს დამოწმების სტილი ნაშრომის სხვა მნიშვნელოვან მახასიათებლებთან ერთად. ასევე, სასურველია აკადემიური წერის სილაბუსში აქცენტი გაკეთდეს MLA დამოწმების სტილზე, სილაბუსში ცალკე თემად არის გამოყოფილი ლიტერატურის ციტირების APA სტილის გაცნობა. გარდა ამისა, მაგისტრატურის დებულებაში არ არის მითითებული პლაგიატისგან დაცვის მექანიზმი, მაშინ როცა უნივერსიტეტი ჩართულია INTEGRITY-ის პროექტში და უნივერსიტეტში დანერგილია

პლაგიატის ამომცნობი პროგრამა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, აღწერილი იყოს ნაშრომის დაცვის პროცედურის ფარგლებში პლაგიატზე შემოწმების პირობებიც.

2019 წლის 3 დეკემბრის N224 საბჭოს გადაწყვეტილებასა და რეკომენდაციასთან დაკავშირებით ("დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის პრაქტიკა და გამოცდილება, პროგრამის განხორციელებაში ჩაერთოს შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი, რათა უზრუნველყოფილი იყოს ხარისხიანი ხელმძღვანელობა") პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ "უნივერსიტეტში მოიწვიეს პარტნიორი უნივერსიტეტის განათლების მეცნიერების დეპარტამენტის პროფესორი, რომელიც უხელმძღვანელებს სამაგისტრო ნაშრომებს და ჩაატარებს მიზნობრივ ტრენინგებს პროფესორ-მასწავლებლებისათვის". მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა, კვლავ რჩება გამოწვევად მაგისტრანტთა კვალიფიციური ხელმძღვანელების საკითხი, რადგანაც მოწვეული პროფესორ(ებ)თან თანამშრომლობის მდგრადობა არ არის გარანტირებული, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი გეგმავს ძირითადი, აფილირებული პროფესორების კვალიფიკაციის ამაღლებას მაგისტრანტთან ხელმძღვანელობის მიმართულებითაც. ამჟამად პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომებისათვის ექვსი ხელმძღვანელი, ამასთან, ერთმა შეიძლება უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 4 მაგისტრანტს. პროგრამის სტუდენტებისა და განსაზღვრული ხელმძღვანელების რაოდენობა შეესაბამება უნივერსიტეტის წესს, თუმცა სასურველია საუნივერსიტეტო რეგულაციით გაწერილი იყოს, როგორ უზრუნველყოფენ სამაგისტრო ნაშრომთა ხელმძღვანელობას მეტი სტუდენტის არსებობის შემთხვევაში.

პროგრამის ფარგლებში ჯერ სამაგისტრო ნაშრომი არ დაცულა. უნივერსიტეტმა თავი შეიკავა მომიჯნავე სპეციალობებზე დაცული სამაგისტრო ნაშრომების ექსპერტებისთვის მოწოდებაზე. ეს გააიოლებდა ნაშრომის შესაბამისობის დადგენას უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ მოთხოვნებთან. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სტუდენტები სწავლის პროცესში, განსაკუთრებით, პრაქტიკული სწავლებისას გამოკვეთენ სასურველ საკვლევ თემებს, რომლებსაც შემდეგ თავიანთსავე შერჩეულ ხელმძღვანელებთან ჩამოაყალიბებენ. თუმცა სტუდენტები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ ისინი ელოდებიან სამაგისტრო ნაშრომებისათვის თემათა სიას და იმ სიიდან ამოირჩევენ სასურველს. მნიშვნელოვანია სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარება და სამაგისტრო თემის შერჩევის პროცედურის ზუსტად გაწერა და სტუდენტების ინფორმირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დადგენილება მაგისტრატურის ხელმძღვანელის შესახებ

- პროგრამის დოკუმენტი
- სამეცნიერო სტილის სახელმძღვანელო წესები
- მაგისტრატურის დებულება
- უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნებში გაიწეროს ინფორმაცია ნაშრომის გაფორმების აკადემიური სტილის შესახებ;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- შემუშავდეს პროფესორ-მასწავლებელთა პროგრამაში მონაწილეობის მდგრადობისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტიანი მექანიზმი;
- მაგისტრატურის დებულებაში გაიწეროს პლაგიატის შემოწმების მექანიზმი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. აკადემიური საბჭოს #1 (11.01.2019 წ.) დადგენილებით განსაზღვრულია, „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო/საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დებულება. **დებულებაში არ არის გამიჯნული ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის ფუქციები და არ ჩანს კონკრეტულად რა ვალდებულებები აქვს თანახელმძღვანელს.** პროგრამის ხელმძღვანელი ამავე დროს არის უნივერსიტეტთან აფილირებული პროფესორი. მას გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით. ინტერვიუს დროს, პროგრამის როგორც შინაარსობრივი, ასევე ტექნიკური ხასიათის

დეტალების შესახებ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ **პროგრამის ხელმძღვანელზე გაცილებით მეტად ინფორმირებული იყო პროგრამის თანახელმძღვანელი** (კონსულტანტი), დარგის სპეციალისტი, ექსპერტი). მან აქტიურად მოგვაწოდა ინფორმაცია პროგრამის შემუშავების სხვადასხვა დეტალების შესახებ.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 40 პერსონალი. მათ შორის 2 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი და 27 მოწვეული პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით.

წარმოდგენილი დოკუმენტებით აკადემიური პერსონალის უმრავლესობას არ უდასტურდება **მეთოდიკა-დიდაქტიკის მიმართულებით კვალიფიკაცია, რაც მოწვეული პერსონალით (მათი შესაბამისი კვალიფიკაციით) არის კომპენსირებული.** ისინი უძღვებიან კურსებს ჩართულები არიან პროგრამის თითქმის ყველა კომპონენტის (მეთოდიკა, პრაქტიკა, კვლევა) განხორციელებაში. მათ შორის არიან უფროსი/მენტორი მასწავლებლებიც, ასევე ტრენერები. როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან, ისე გასაუბრებიდან გავიგეთ, რომ ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესასრულებლად, სხვა უსდ-ში პროფესორ-მასწავლებელთა დატვირთვის გათვალისწინებით (qms.eqe.ge-ზე დაყრდნობით), როგორც პრევენციული მექანიზმი, შემუშავებულია პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც დანართის სახით ახლავს ხელშეკრულებებს, თუმცა **ხელშეკრულების წარმოდგენილ ნიმუშებში დატვირთვის ამგვარი სქემა არ იძებნება მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებებში.**

მართალია, მოცემული დროისთვის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობა არ გვაძლევს საშუალებას მტკიცებით ფორმაში ვთქვათ, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მოცემული რაოდენობა და დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას, თუმცა, **პერსონალის მოწვევის** (ამ მოცემულობით) **პოზიტიური ტენდენცია შესაძლებელია პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისით საყურადღებო გამოწვევად მივიჩნიოთ, რადგან მოწვეული პერსონალის ნაწილი (არა ადგილობრივი კადრი), დატვირთულია სხვადასხვა უსდ-ში.**
უნივერსტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმები. როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ისე გასაუბრებებით დასტურდება, რომ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ მოცემულ მომენტში უზრუნველყოფილები არიან

სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების უშუალო ჩართულობითა და ხელშეწყობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასება; • სამუშაო აღწერილობები - CV-ები; • აკადემიური საბჭოს დადგენილება #1, 11.01.2019 „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო/საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დებულება; • პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, ხელშეკრულება და პირადი საქმე; • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • გაიმიჯნოს ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის ფუქციები და დაზუსტდეს კონკრეტულად თანახელმძღვანელის ვალდებულებები. გაძლიერდეს პროგრამის დანერგვაში ხელმძღვანელის ჩართულობა. • ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესასრულებლად, როგორც პრევენციული მექანიზმი, ისევე, როგორც აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, შემუშავდეს მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც ხელშეკრულეკრულების განუყოფელი ნაწილი იქნება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სასწავლო უნივერსიტეტმა მოწვეულ მასწავლებლებთან ერთად მოიზიდოს დამატებითი აკადემიური პერსონალი, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნით, გამოცდილებითა და კომპეტენციით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებული და დანერგილია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების მექანიზმი.

პერსონალის საქმიანობის შეფასება მოიცავს: შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და შეფასების ინსტრუმენტების დაგეგმვას და აგრეთვე, შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგების ანალიზს. აღნიშნული მექანიზმების მიხედვით, უნივერსიტეტი განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს უნივერსიტეტის აკადემიურ, უნივერსიტეტთან აფილირებულ პერსონალს და ადმინისტრაციულ პერსონალს. აკადემიური და უნივერსიტეტთან აფილირებული პერსონალის შემთხვევაში აქცენტირებულია კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობა და შესაბამისი გამოცდილების დანერგვა სასწავლო პროცესში, თუმცა სასურველია, რომ სასწავლო უნივერსიტეტმა კიდევ უფრო მეტად შეუწყოს ხელი აკადემიურ პერსონალს შესაბამისი სტატიები/მონოგრაფიები/წიგნები რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებას. ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში, რეგულაცია და შესაბამისი ინსტრუმენტი აფასებს მათ მიერ შესრულებული საქმიანობის ხარისხს.

სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი, რომლითაც განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმალური დატვირთვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების ინდიკატორები.

უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის წახალისების მექანიზმი, რომელიც ორიენტირებულია მათ პროფესიულ განვითარებაზე.

უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, სწავლებისას სწავლების უახლესი მეთოდებისა და სტრატეგიების დანერგვაზე, აკადემიური კეთილსინდისიერების დამკვიდრებაზე და სხვ. რაც ასევე დასტურდება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუებით.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მაგ. USAID საბაზისო განათლების პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროფესიული განვითარების აქტივობებს და ხელს უწყობს უნივერსიტეტის ჩართულობას ზოგადი განათლების სისტემაში. სხვადასხვა პროგრამებში ჩართულობა შესამჩნევია და პოზიტიურად არის ასახული პროგრამის შინაარსზე.

შეფასების და წახალისების წესი შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას და ხელს უწყობს დასახული მიზნების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პერსონალის შეფასების მეთოდოლოგია;
- ჩატარებული საგანმანათლებლო აქტივობები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასწავლო უნივერსიტეტმა კიდევ უფრო მეტად უნდა შეუწყოს ხელი აკადემიურ პერსონალს შესაბამისი სტატიები/მონოგრაფიები/წიგნები რეფერირებად ჟურნალებში

გამოქვეყნებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. სასწავლო უნივერსიტეტში არის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა შესაბამისი წიგნადი ფონდითა და მექანიზმებით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის განცხადებით, ბიბლიოთეკა გამოთქვამს მზაობას

შეიძინოს სილაბუსით განსაზღვრული და ნებისმიერი სხვა საჭირო ლიტერატურა, რაც აუცილებელი იქნება პროგრამის მიზნების მისაღწევად და პროგრამით გაწერილი შედეგების დასაფარად.

ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის ფარგლებში გათვალისიწინებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, რითაც დადასტურდა ლიტერატურის ხელმისაწვდომობა.

უნივერსიტეტში არის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, სხვა ტექნოლოგიებითა და სასწავლო რესურსებით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, საპროფესორო სივრცე.
სასწავლო უნივერსიტეტს აქვს საცხოვრებელი კორპუსი, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს შესთავაზოს იმ სტუდენტებს დამატებითი სერვისი, რომლებსაც ასეთი საჭიროება აქვთ. განსაკუთრებით, სტუდენტებს, რომელებიც გალიდან არიან.
ასევე, უნივერსიტეტში არის სივრცე, რომელიც აღჭურვილია ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის გასართობი ინვენტარით. აღნიშნულ სივრცეს ემსახურება სპეციალისტი და მიზნად ისახავს სტუდენტი მშობლების განათლების ხელშეწყობას. სტუდენტებს, რომელთაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, შეუძლიათ ლექციებზე ყოფნის პერიოდში, ბავშვი აღნიშნულ სივრცეში დატოვონ, შესაბამისად არ დარჩნენ უმაღლესი განათლების მიღმა.

გასაუბრებისას გამოირკვა, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ბიბლიოთეკა, ისე ლაბორატორიები, აუდიტორიები და თავისუფალი სივრცე. ასევე **მათთვის ხელმისაწვდომია ელექტრონულ რესურსებზე წვდომის კოდი.** მათ დაადასტურეს, რომ მიზნობრივად იყენებენ უნივერსიტეტში არსებულ შიდა ბაზებს. საბიბლიოთეკო ონლაინკატალოგის დისტანციურად დათვალიერებისა და განხილვის დროს, უსდ-ს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აპირებენ ბიბლიოთეკის სრულ გაციფრულებას. მიზანი ნამდვილად მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, თუმცა მნიშვნელოვანია მიზნისათვის დროში გაწერილი გრაფიკის შემუშავება და რეალისტური აქტივობების დასახვა. მაგალითად, სკანერი, რომლის შეძენასაც აპირებს უნივერსიტეტი ბეჭდური წიგნების გაციფრულებისათვის, საკმაოდ სოლიდური თანხა ღირს და წარმომადგენლებმა ვერ დაასაბუთეს, რა ბიუჯეტით

მოახერებენ ამ სკანერის ყიდვას. ამასთან, არ არის განსაზღვრული ფოტოკოპირების შემდეგ წიგნების ნამდვილი გაციფრულების (OCR) მექანიზმი. შესაბამისად, ბუნდოვანია, აღნიშნული გეგმის განხორციელების რეალისტურობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკას არ აქვს შემუშავებული საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელსაც გაითვალისწინებს წიგნადი ფონდის გაციფრულებისა და მათი გამოყენებისას. ხარისხის სამსახური აწარმოებს პროცესების მონიტორინგს. **ვიზიტისას წარმოდგენილი იყო ბაზების გამოყენების ინტენსივობის სტატისტიკა.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მატერიალური და ტექნიკური რესურსი; • საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა; • ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი; • ბაზების გამოყენების ინტენსივობის სტატისტიკა; • · ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ბიბლიოთეკის გაციფრულების მიზნისათვის გაიწეროს დეტალური გეგმა ბიუჯეტირებით და გათვალისწინებული და შემუშავდეს წიგნადი ფონდის გაციფრულებისა და ელვერსიების გავრცელებისათვის საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმი;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი. პროგრამის ხარჯები გათვალისწინებულია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 19 მაისს #29 დადგენილებით დამტკიცებული სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

ინტერვიუს მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ პროგრამა უნივერსიტეტის მისიის და მიზნების მიღწევისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს, ამდენად მისი დაფინანსება არ შეფერხებულა და არც მომავალში შეფერხდება.

აქვე აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 დეკემბერს #27 დადგენილებით დამტკიცებული შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცინერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი. ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამეცნიერო საქმიანობისთვის (კვლევა, გამომცემლობა) და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯები. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ისინი აქტიურად მიმართავენ სასწავლო უნივერსიტეტს კონფერენციებში/სემინარებში მონაწილეობის ხარჯების დაფარვის მოთხოვნით.

ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად

მიღწევადია და შეესაბამება საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის/დამტკიცების, შემოსავლების წყაროების განსაზღვრისა და ხარჯვის განაწილების წესი“; • საზოგადოებრივ მეცინერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი; • 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმა; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის მდგრადობის გასაანალიზებლად, სასურველია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების, ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტების საფუძველზე განხორციელდა უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებული შესაძლებლობების შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 26 ივლისის N21 გადაწყვეტილებით დამტკიცებული “ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით”, რომლითაც გაწერილია სამსახურის სტრუქტურა, ფუნქციები და ამოცანები. აღნიშნული დებულების თანახმად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციაა

უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დამკვიდრება, ხარისხის გაუმჯობესებისათვის შესაბამისი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება, სასწავლო პროცესის მუდმივი ხელშეწყობა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა ეფუძნება PDCA ციკლის პრინციპებს. დაწესებულებას ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტები, რომლებიც ადგენენ სხვადასხვა მექანიზმებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ არც თვითშეფასებაზე თანდართულ და არც დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტებს შორის არ იქნა წარმოდგენილი შიდა რეგულაცია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ. აღნიშნული აქტი არ იძებნება არც უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფს გაუჭირდა შეფასება, მოქმედებს თუ არა დაწესებულებაში ერთიანი აქტი, რომლითაც დადგენილი იქნება ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკა და მოცემული იქნება შესაბამისი მექანიზმების ჩამონათვალი, მათი დანერგვისა და მუშაობის პროცესები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, როგორც ერთიანი სისტემის მუშაობას. ამდენად, დაინტერესებული პირებისათვის, მათ შორის, ექსპერტთა ჯგუფისათვის სამუშაო პროცესში, საკმაოდ რთულია ერთიანი წარმოდგენის შექმნა უნივერსიტეტში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე და მათი მუშაობის პროცესებზე.

თუმცა უნივერსიტეტში დამტკიცებულია ცალკეული აქტები ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა პროცესების რეგულირებისათვის. თვითშეფასებაზე თანდართული, დამატებით გამოთხოვილი და ვებ-გვერდზე განთავსებული დოკუმენტების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული, ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი პროცესები მოწესრიგებულია შემდეგი აქტებით:

1. მართვის პოლიტიკა - ადგენს უნივერსიტეტში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების კრიტერიუმებს;
2. აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების წესი;
3. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი;
4. შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია;
5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის /შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი;
6. გამოკითხვის ჩატარების წესი

ამასთან, დაწესებულებას შემუშავებული აქვს კითხვარების ფორმები, რომელთა მეშვეობით ახორციელებს დადგენილი პერიოდულობით სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას. აღნიშნული გამოკითხვების შედეგები თან ერთვის თვითშეფასების განაცხადს.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგებით, დასტურდება, რომ აკადემიური პერსონალი იცნობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს და თანამშრომლობს აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულთან. პერსონალს წარედგინება მათი საქმიანობის შეფასების შედეგები. ისინი ასევე ჩართულები იყვნენ პროგრამის თვითშეფასებაზე მუშაობის პროცესში, ადმინისტრაციული პერსონალის შესაბამის წარმომადგენლებთან ერთად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ჯგუფში წარმოდგენილი იყო პარტნიორი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა მშობლებიც, რაც თავისთავად საინტერესო და გასაზიარებელი პრაქტიკაა, ვინაიდან სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის კურსდამთავრებულთა ცოდნა და უნარები პირდაპირ გავლენას ახდენს სწორედ მოსწავლეებზე და შესაბამისად, მოსწავლეთა მშობელთა კმაყოფილებაზე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუს მონაწილე მშობელმა ვერ დაადასტურა პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიური ჩართულობა და მისი გავლენა პროგრამის შინაარსზე. სასურველი იქნებოდა მშობლები უფრო მეტად ყოფილიყვნენ თვითშეფასების პროცესში ჩართულები და უფრო მეტად გამოკვლეულიყო მათი რეალური მოსაზრებები, საჭიროებები და მოლოდინები ამ პროგრამისა და მისი კურსდამთავრებულების თაობაზე.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა არის ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა, რომელიც "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით არ განეკუთვნება სწავლების საბაკალავრო ან სამაგისტრო საფეხურს. ის შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად კვალიფიკაციის სირთულის მე-7 დონეს. მისი სპეციფიკა განსხვავებულია, ვინაიდან მოცულობა სტანდარტულ საბაკალავრო პროგრამაზე მეტია, ამ პროგრამაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საბაკალავრო პროგრამებისათვის დადგენილი გზით, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ხოლო დასრულების შედეგად სტუდენტს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი. აღნიშნული სპეციფიკის გამო, უმაღლესი განათლების შესახებ კანონი ყველა იმ ნორმაში, სადაც ჩამოთვლილია სწავლების საფეხურები, ცალკე გამოყოფს ამ საგანმანათლებლო პროგრამას. შესაბამისად,

მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა ხარისხის უზრუნველყოფისა თუ საგანმანათლებლო პროცესების რეგულირებისას, შესაბამის შიდა აქტებში ცალკე გაითვალისწინოს ამ პროგრამის სპეციფიკა. თვითშეფასების განაცხადით წარმოდგენილ არც ერთ შიდა აქტში, დღეის მდგომარეობით, აღნიშნული პროგრამის სპეციფიკა გათვალისწინებული არ არის. მაგალითად, "პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი" პირველ მუხლში ადგენს, რომ უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლება მოიცავს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს. ამდენად, აუცილებელია, არამხოლოდ ფორმალურად, შიდა აქტებში განხორციელდეს ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინება, არამედ პრაქტიკულ მუშაობაშიც და შესაბამისი კვლევისა თუ შეფასების პროცესები, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის მოერგოს აღნიშნულ სპეციფიკას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომლითაც დადგენილია სპეციალური ფორმულა ამ შედეგების შეფასების მიზნებისა და ამავე გეგმით დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან შედარების მიზნით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფისათვის ბუნდოვანი დარჩა აღნიშნული გეგმის შინაარსი და დაწესებულებისგან ვერ იქნა მიღებული ინფორმაცია, თუ რა გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდა იგი. ამ გეგმის თაობაზე პასუხები ვერ იქნა მიღებული ვერც აკადემიური პერსონალის წევრებისგან.

უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს ზოგადი წესი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების თაობაზე. აღნიშნული წესით დადგენილია სამიზნე ნიშნულები და ანალიზის შედეგების განსაზღვრის კრიტერიუმები. მაგალითად, წესის მე-5 მუხლით დადგენილია, რომ საუკეთესო სტუდენტების (91-100 ქულის მქონე) რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 10%. ხოლო მე-6 მუხლის თანახმად, თუკი ასეთი სტუდენტების რაოდენობა დადგენილ ნიშნულს აცდა, მიიღება ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა: სტუდენტები გენიოსები არიან, პროგრამა მარტივია ან ლექტორი ლიბერალურია/შეფასებისას არაადეკვატურ ფორმეს იყენებს. თუმცა რეგულაცია არაფერს განსაზღვრავს იმის შესახებ, მითითებული დასკვნებიდან, რომელი რა შემთხვევაში დგება და როგორ ადგენს დაწესებულება. ინტერვიუს დროს აღნიშნულ კითხვაზე პასუხის მიღება ვერ მოხდა.

ზემოხსენებული მსჯელობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები შეიმუშაოს იმგვარად, რომ მათი რეალურად გამოყენება ხორციელდებოდეს პრაქტიკაში და განსაზღვრული იყოს შესაბამისი

პროცედურები ნათლად და გამჭვირვალედ. ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების სიცხადე მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს ჰქონდეს ამ პროცედურებში გააზრებულად მონაწილეობის საშუალება, შედეგებს იყენებდეს პროგრამისა და თავიანთი საქმიანობის გასაუმჯობესებლად და ამ ჩართულობას არ ჰქონდეს მხოლოდ ფორმალური სახე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. თვითშეფასების განახცხადი 2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოკითხვები 3. უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები 4. ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: 1. გადაიხედოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის აღმწერი დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი უნივერსიტეტის პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპები, მიზნები, შესაბამისი მექანიზმები, მათი დანერგვისა და პრაქტიკაში გამოყენების გზები. 2. უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებსა და სამუშაო პროცესებში, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამებთან ერთად შემუშავდეს ინტეგრირებული საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის რეგულირების წესები და მოთხოვნები, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 3 დეკემბრის N224 გადაწყვეტილებით, მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია, ორი წლის ვადით. საბჭოს მიერ გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. **უაღრესად მნიშვნლოვანია პროგრამის საჭიროების დასადასტურებლად ემპირიული მტკიცებულებების სისტემური შეგროვება და ანალიზი. სრულყოფილ იქნეს მიზნობრივი კითხვარები, რათა სათანადოდ გამოიკვეთოს როგორც ბაზარზე არსებული საჭიროებები, ასევე ის უნარები, რომლებსაც კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს.. ასევე, გამოვლინდეს და პროგრამას საფუძვლად დაედოს პოტენციური დამსაქმებლების ინდივიდუალური ან/და საერთო საჭიროებების ანალიზი. ემპირიული მტკიცებულების გამყარების მიზნით, ასევე, საჭიროა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი** - ნაწილობრივ შესრულებულია, თუმცა კვლავ პრობლემად რჩება შრომის ბაზრის კვლევა და ანალიზი და შესაბამისი შედეგების საფუძველზე, პროგრამაში ცვლილებების განხორციელების საკითხი;
2. **პროგრამის გაძლიერების მიზნით, გადაიხედოს და ლოგიკურად დალაგდეს სწავლის შედეგები. ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილი სწავლის შედეგები საჭიროებს მხოლოდ ლოგიკურ გადაჯგუფებას. ინდივიდუალურ შემთხვევაში კი შესაძლებელია გარკვეული შედეგების გაერთიანება ანდა ფორმულირების შეცვლა.** - დაწესებულებამ იმუშავა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებაზე, თუმცა საჭიროა დამატებით მუშაობა არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით. დეტალური მსჯელობა აღნიშნულის თაობაზე მოცემულია შესაბამის სტანდარტში.
3. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობის კუთხით გაიწეროს უცხო ენის დიაგნოსტიკური ტესტის წერის ვალდებულება, ვინაიდან სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულებას იღებს უცხო ენის შემსწავლელი სავალდებულო ან/და არჩევითი საგნები სტუდენტებს ცოდნის შესაბამისად შესთავაზოს. ასევე გადაიხედოს უცხო ენის დიაგნოსტიკური ტესტის შინაარსი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების ენის კომპეტენციის სიღრმისეული ანალიზი სხვადასხვა უნარის მიხედვით** - შესრულებულია;

4. **უზრუნველყოფილი იქნეს არჩევითი კურსების შინაარსობრივი და რაოდენობრივი მრავალფეროვნება, ასევე უნივერსიტეტმა უცხო ენების შესწავლის სავალდებულო და არჩევით კურსებში ჩართვის თაობაზე შეიმუშაოს გარკვეული ხედვა** - შესრულებულია
5. **გადაიხედოს კონკრეტული ქულების კრედიტ-ქულების მინიჭება** - შესრულდა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს აქვს გარკვეული შენიშვნები კურსების მოცულობასთან დაკავშირებით, რის თაობაზე მსჯელობა მოცემულია შესაბამის სტანდარტში;
6. **გადაიხედოს პროგრამის შინაარსი, განხრციელდეს სასწავლო კურსების ლოგიკური გადალაგება-გაერთიანება** - შესრულდა;
7. **თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში გაიწეროს ამ კონკრეტული საგნის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სქემა** - არ არის შესრულებული
8. **კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით, გადაიხედოს გარკვეული საგნების მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი, გადანაწილდეს კრედიტ-ქულების შესაბამისად, გაიწეროს რომელი პრაქტიკა ემსახურება აქტიურ და პასიურ პრაქტიკას, ასევე გადაიხედოს კვლევაზე ორიენტირებული საგნების შეფასების სისტემები** - ნაწილობრივ შესრულებულია, საგნებში გამიჯნულია აქტიური და პასიური პრაქტიკა, თუმცა კვლავ პრობლემად რჩება კვლევითი კურსების შეფასების საკითხი. აღნიშნულის თაობაზე იხ. შესაბამისი სტანდარტი;
9. **კვლევითი კომპონენტის და პედაგოგიური პრაქტიკის სწავლების/გაძღოლის მიზნით, განხორციელდეს მასწავლებლების დივერსიფიკაცია პროგრამის განვითარებისათვის. პროგრამაში ჩაერთოს შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამაგისტრო ნამუშევრების ხარისხიანი ხელმძღვანელობა**
10. **დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის პრაქტიკა და გამოცდილება, პროგრამის განხორციელებაში ჩაერთოს შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამაგისტრო ნაშრომების ხარისხიანი ხელმძღვანელობა** - მე-9 და მე-10 რეკომენდაციები ნაწილობრივ შესრულებულია, თუმცა უნივერსიტეტისათვის გამოწვევად რჩება შესაბამისი გამოცდილების მქონე პირების აკადემიურ პერსონალში ჩართვა, რაც პროგრამის მდგრადობის წინაპირობაა. აღნიშნულის თაობაზე მსჯელობა მოცემულია შესაბამის სტანდრატში.
11. **უზრუნველყოფილ იქნეს ელექტრონულ რესურსებზე წვდომის კოდის ხელმისაწვდომობა სტუდენტებისათვის და აკადემიური პერსონალისათვის შემუშავდეს ელექტრონულ ბაზებზე წვდომის წახალისების მექანიზმი** - შესრულებულია. უზრუნველყოფილია ელექტრონულ ბაზებზე წვდომა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის, თუმცა საჭიროა მეტი მუშაობა იმისათვის, რომ უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსების მოხმარებას უფრო ინტენსიური სახე მიეცეს საგანმანათლებლო პროცესის მიზნებისათვის.

პროგრამის განმეორებით აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში, განხორციელდა მისი გარე შეფასება და მიღებული რეკომენდაცია წარმოდგენილია თვითშეფასების განაცხადზე თანდართულ დოკუმენტაციაში. თუმცა ხაზგასასმელია, რომ პროგრამის შეფასებას ხელს აწერს შესაბამისი ექსპერტი, როგორც სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ანალოგიური პროგრამის ხელმძღვანელი, მაგრამ იგი ამავდროულად წარმოადგენს შოთა მესხიას სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე და ჩართული იყო პროგრამის შემუშავებაში. იმის გათვალისწინებით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, მათ შორის, გარე შეფასების მიზანი დაწესებულებისათვის უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესება, ყველა პროცესის დაგეგმვა და განხორციელება ორიენტირებული უნდა იყოს სწორედ ამ მიზნის მიღწევაზე. ამდენად, კონკრეტული აქტივობის განხორციელება, მხოლოდ ფორმალურად, აზრს უკარგავს არა მხოლოდ მასზე დახარჯულ რესურსს, არამედ წარმოაჩენს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემურ ნაკლოვანებებსაც უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სწორედ ასეთი ფაქტია პროგრამის შეფასება გარე ექსპერტის სტატუსით იმ პირის მიერ, რომელიც იმავდროულად ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, რისთვისაც ასევე იღებს შესაბამის მატერიალურ სარგებელს უნივერსიტეტისგან. ცხადია, ამ პირობებში ეჭვქვეშ დგება მისი, როგორც გარე შემფასებლის ობიექტურობის საკითხი. შესაბამისად, ამ გზით მიღებული გარე შეფასება წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ დოკუმენტს. ამიტომ რეკომენდებულია, რომ თუკი დაწესებულება გადაწყვეტს პროგრამა შეაფასებინოს გარე ექსპერტს, ასევე გაითვალისწინოს უნივერსიტეტთან შრომითი ურთიერთობისგან მისი დამოუკიდებლობის ფაქტორი.

იმის გათვალისწინებით, რომ აკრედიტაცია წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების სავალდებულო მექანიზმს რეგულირებადი პროფესიებისათვის, ხოლო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული აკრედიტაციის სტანდარტები საკანონმდებლო აქტს, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ახლდეს სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი ყველა მოთხოვნილი წერილობითი მტკიცებულება, რათა გარე შემფასებლებმა შეძლონ ობიექტური და რეალური დასკვნის გაკეთება. შესაბამისად, სასურველია, რომ დაწესებულებამ თვითშეფასების განაცხადში მოყვანილი ყველა ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი, სათანადო წესით გაფორმებული წერილობითი მტკიცებულება თან დაურთოს განაცხადს, შესაბამისი ქვესტანდარტების ნუმერაციასთან ლოგიკური შესაბამისობითა და თანმიმდევრობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების განაცხადი და თანდართული დოკუმენტები
- აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 3 დეკემბრის N224 გადაწყვეტილება
- პროგრამის გარე შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა პროგრამის გარე შეფასება განახორციელოს ისეთი ექსპერტის მოსაზრებებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით, რომელიც იქნება

დამოუკიდებელი უნივერსიტეტში მიმდინარე სამუშაო პროცესებისაგან და არ იქნება დაკავშირებული მასთან შრომითი ურთიერთობით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, რომ დაწესებულებამ თვითშეფასების განაცხადში მოყვანილი ყველა ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი, სათანადო წესით გაფორმებული წერილობითი მტკიცებულება თან დაურთოს განაცხადს, შესაბამისი ქვესტანდარტების ნუმერაციასთან ლოგიკური შესაბამისობითა და თანმიმდევრობით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და შემდგომ მათ განვითარებაზე ზრუნვა ხორციელდება "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის" საფუძველზე. აღნიშნული წესის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების

შეფასებისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგს, მათ შორის, საგამოცდო პროცესის მონიტორინგს, ატარებს სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვებს, აწარმოებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს და ა.შ.

კითხვარის გავრცელების პროცედურაში გამოიყენება LMS; Google ელექტრონული გამოკითხვის ფორმა; Face to face გამოკითხვა (საჭიროების შემთხვევაში, ხშირად გამოკითხვის შედეგების მიხედვით სპეციალურ ფოკუს ჯგუფებთან); ტელეფონით გამოკითხვა; ონლაინ გამოკითხვები, რომელიც ძალიან აქტიურად გამოიყენება თანამედროვე პრაქტიკაში და ეფექტურია დროის მენეჯმენტისა და მოქნილობის თვალსაზრისით; სხვადასხვა სოციალური ქსელი (Facebook, Instagram, Moodle…).

გამოკითხვის ჩატარების შემდეგ ჯამდება გამოკითხვის შედეგები, ხდება მათი გაანალიზება და მუშავდება რეკომენდაციები და/ან შენიშვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კონკრეტული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობების გაუმჯობესების მიზნით. ანალიზი დაფუძნებულია ემპირიულ მასალაზე. გამოკითხვების შედეგების გაანალიზებაში მონაწილეობენ როგორც გამოკითხვის შექმნაში მონაწილე, ისე სხვა კომპეტენტური პირები.

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება-შემუშვება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ, ემყარება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზს. გარდა ამისა, უნივერსიტეტში მოქმედებს გამოკითხვის ჩატარების წესი, რომლის თანახმად, გამოკითხვები ტარდება სხვადასხვა პერიოდულობით (ყოველსემესტრულად, ყოველწლიურად, ყოველი საგანმანათლებლო პროგრამის დაწყების და/ან დასრულების შემდეგ, სხვადასხვა საჭიროებების დროს).
ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ სტუდენტები ახორციელებენ ლექტორთა შეფასებას, რომლის შედეგები მიეწოდება თითოეული სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელს. აღნიშნულის გარდა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების შეფასება ხორციელდება ხარისხის სამსახურის მიერ, პერსონალი ახორციელებს თვითშეფასებას, მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. ამასთან, შეფასებას ექვემდებარება არა მხოლოდ პროგრამა და ცალკეული სასწავლო კომპონენტი ან მის

განხორციელებაში ჩართული პერსონალი, არამედ შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და ადმინისტრაციული რესურსიც. უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა გამოკითხვების შედეგები. პროგრამის შეფასებას ახორციელებენ დამსაქმებლებიც, რომლებიც ასევე არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში, ზოგიერთი მათგანი კი წარმოადგენს სასწავლო კომპონენტების განმახორციელებელ პირს. თუმცა არ იკვეთება არც სტუდენტების და არც დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების გავლენა საგანმანათლებლო პროგრამაზე, განხორციელდა თუ არა რაიმე ცვლილება აღნიშნულის გათვალისწინებით, ხოლო თუკი არ განხორციელდა, რატომ.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შრომის ბაზრის კვლევის დამადასტურებელი რამდენიმე დოკუმენტი, თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფს რჩება შთაბეჭდილება ამ კომპონენტის მხოლოდ ფორმალური დაკმაყოფილების თაობაზე. მხოლოდ ერთ დოკუმენტს ახლავს კვლევის შედეგები და გამოკვეთილი მიგნებები, ხოლო დანარჩენი დოკუმენტაცია ბუნდოვანი და სიზუსტეს მოკლებულია. ამასთან, არ იკვეთება საგანმანათლებლო პროგრამაში შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე რა ცვლილებები განახორციელა დაწესებულებამ. შესაბამისად, რეკომენდებულია შრომის ბაზრის კვლევა განახორციელოს მიზნობრივად, უფრო მეტად სიღრმისეულად და შემდგომ კვლევის საფუძველზე გაკეთებული მიგნებები გაითვალისწინოს და ასახოს საგანმანათლებლო პროგრამაში, მისი გაუმჯობესების მიზნით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს კითხვარების ფორმები, ჩატარებული აქვს შესაბამისი გამოკითხვებიც, თუმცა აღნიშნულს უნდა ჰქონდეს უფრო სისტემური და ანალიტიკური სახე, ხოლო ამ ანალიზის შედეგები უნდა გამოიყენებოდეს პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც არ იკვეთება არც წარმოდგენილი დოკუმენტებით და არც ინტერვიუს შედეგებით. პროგრამის განვითარების პროცესში არ ჩანს არც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ჩართულობა. ის ფაქტი, რომ ხუთწლიან პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებულები არ შეიძლება ამ კომპონენტის გამოტოვების საფუძველი იყოს, ვინაიდან უნივერსიტეტი ხუთწლიან პროგრამამდე ახორციელებდა მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო პროგრამას, რომლის კურსდამთავრებულების მონაწილეობა და მათი შეფასებები მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ამ პროგრამის განვითარებისთვისაც.

თვითშეფასებისა და ინტერვიუს შედეგების თანახმად, ძირითადად აქცენტი შეფასებისა და მონიტორინგის პროცესებში კეთდება სასწავლო-სალექციო, საგამოცდო, მობილობის პროცესების მონიტორინგზე. აღნიშნული წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმებისა და მონიტორინგისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, თუმცა მხოლოდ

ამ შედეგებზე დაყრდნობა ვერ ურუნველყოფს პროგრამის პერიოდულ შეფასებას და მონიტორინგს, მისი მუდმივი განვითარებისა და დასაქმების ბაზარის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. თვითშეფასების განაცხადი და თანდართული დოკუმენტები;
2. ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული გამოკითხვების შედეგები
3. გამოკითხვის ჩატარების წესი
4. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, განვითარების წესი
5. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა:

1. განხორციელებული გამოკითხვებისა და შეფასებების ანალიზის შედეგები გაითვალისწინოს და გამოიყენოს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის;
2. პროგრამის შეფასებაში ჩართოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები;
3. განახორციელოს შრომის ბაზრის უფრო სიღრმისეული და კვალიფიციური კვლევა, ხოლო შესაბამისი მიგნებები გამოიყენოს პროგრამის მუდმივი გაუმჯობესებისათვის;
4. განავითაროს შეფასებისა და მონიტორინგის ისეთი სისტემა, სადაც ჩართულები იქნებიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი კურიკულუმის შეფასებასა და ანალიზში, შრომის ბაზრისა და სხვა კვლევების შედეგების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		x		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 64

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		x		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			x	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		x		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მიხეილ გიორგაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მარიამ ბანძელაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა სოფიო უგრეხელიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ეკატერინე კვირიკაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა მაკა თეთრაძე